სპორტი

სპორტული გაზეთი პარასკევი 7 ივლისი 2006 №154 (2776) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 ივლისისთვის

ბურთი გამზადდა, მსაჯი დაინიშნა, ფერები შეთანხმდა



ორასიო ელიზონდომ გახსნა და დახურავს



სკუადრა ფინალში აძური იქნება

ფრანგები გათეთრდებიან



ეროვნული განიწმინდა

ბაზარი არ არის, მაგარი საქმეა

ავეჯი და ქართული ფეხბურთი... უცნაური და უჩვეულოა ამ სამი სიტყვის ერთად თქმა, მაგრამ... დიახ, მიხვდებოდით — ეს სიტყვები ეროვნულ სტადიონზე წლებია, „მეგობრობდნენ". „მეგობრობდნენ" კი არა, ლამის ავეჯი უფრო აქტუალური იყო სტადიონის ტერიტორიაზე შესული ხალხისთვის, ვიდრე ფეხბურთი.

უფრო მძიმე სურათი გნებავთ? კი ბატონო: ბოლო წლებში „ეროვნულზე" ავეჯს უფრო მეტი მნახველი ჰყავდა, ვიდრე ფეხბურთს...

ამიერიდან ასე აღარ იქნება: პატრონგამოჩენილი „ეროვნული" ავეჯის გამოფენა-გაყიდვისგან თავისუფლდება — სტადიონი სტადიონს ემსგავსება!

ირაკლი ლაბაძემ ბალახი მოათვინიერა

...ტაიბრეიკზე 4:3-ს რომ ვიგებდი, ნადალს აშკარა აუტი ჩაუთვალეს...

...ამ უიმბლდონის შემდეგ აღარ ვიტყვი, ბალახზე თამაში არ გამომდისო...

...როცა რეიტინგის ორმოცდაათეულში შევალ, მაშინღა ვიტყვი, რომ პრობლემებს ვძლიე და დავბრუნდი...

საბერძნეთის მთავრობამ უკან დაიხია: ძველი კანონი დახია



მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს არგენტინელი ორაციო ელიზონდო იმსაჯებს. გეხსომებათ, ეს სწორედ ის არბიტრია, პორტუგალია — ინგლისის მეოთხედფინალში მოედნიდან უეინ რუნი რომ გააძევა.
ელიზონდო გახდება პირველი მსაჯი, რომელსაც მუნდიალის გახსნაც უმსაჯია და ფინალსაც იმსაჯებს

ჯერი ფიფაზეა: შეცვლის გადაწყვეტილებას?





ცხრა წლის წინ ქართული ფეხბურთი საერთაშორისო იზოლაციას გადაურჩა. მაშინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსა და გენერალურ მდივან დავით კვინიკაძეს უფლებამოსილება შეუწყვიტა. ეს იყო კულმინაცია იმ დაპირისპირებისა, რომელიც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესა და ფედერაციის პრეზიდენტს შორის მას შემდეგ არსებობდა, რაც ქართული ფეხბურთი თავის გზაზე წავიდა და ფიფა-უეფაში დამოუკიდებლად გაწევრიანდა.

შეგახსენებთ იმ ამბავსაც, რომ სპორტის დეპარტამენტის, ანუ მთავრობის მაშინდელმა გადაწყვეტილებამ უმალ ფიფამდე მიაღწია და რეაგირებამაც არ დააყოვნა. ფიფამ საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილების გასაუქმებლად რამდენიმე დღე მისცა, სხვა შემთხვევაში, მოკვეთით დაემუქრა. სპორტის მესვეურებმა მაშინ გონიერება გამოიჩინეს და ქართული ფეხბურთი საერთაშორისო ოჯახში დარჩა.

თითქმის ანალოგიური ვითარება შეიქმნა ახლა ბერძნულ ფეხბურთშიც. ფიფა იქაური სპორტის ჩინოსნებს შარშანდელი სექტემბრის შემდეგ აფრთხილებდა, თქვენ მიერ მიღებული კანონი ჩვენს კანონებს ეწინააღმდეგება და კეთილი ინებეთ, შეცვალეთ, თორემ სასტიკად დაისჯებითო. ბერძნებმა კი, აქაოდა, ევროპის ჩემპიონები ვართო, ყურიც არ შეიბერტყეს და ამ ორშაბათს პასუხიც მიიღეს — საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-უეფას ეგიდით გასამართი ყველა ტურნირიდან მოიკვეთა. თუმცა ფიფამ ბერძნები კიდევ დაინდო და 15 ივლისამდე ადროვა — ერთხელაც გაუმეორა, გადაწყვეტილება შეცვალეთო...

რა ხდება ახლა ბერძნულ ფეხბურთში, რა მოიმოქმედეს ფიფას გადაწყვეტილების შემდეგ საბერძნეთის მთავრობაში?

ჩვენმა კოლეგა *სიმონ პორაფოპულოსმა* გუშინ სიტუაციაში გაგვარკვია...

— თავიდანვე გეტყვით, რომ საფეხბურთო საბერძნეთმა ამ დილით სასიამოვნო ამბავი შეიტყო — საბერძნეთის სპორტის სამინისტრომ ადრე მიღებულ კანონში შესწორებები შეიტანა და, ფაქტობრივად, ფიფას ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. სპორტის სამინისტრომ, პირადად მინისტრმა და, ზოგადად, მთავრობამ უკან დაიხიეს და ამით, პირველ ყოვლისა, ამოისუნთქეს ქომაგებმა, რომლებმაც სპორტის სამინისტროს წინ რამდენიმე საპროტესტო აქციაც გამართეს.

კანონის ჩასწორებული ვარიანტი გერმანიაში მყოფ ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს უკვე მიაწოდა საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვასილის გაგაცისმა და ახლა ყველა ფიფას პრეზიდენტის ახალი გადაწყვეტილების მოლოდინში ვართ. ემოციები, ცოტა არ იყოს, ჩაცხრა და დღესხვალ ფიფას საბოლოო სიტყვას ველით. იმედი გვაქვს, საბერძნეთი ისევ დარჩება საერთაშორისო საფეხბურთო ოჯახში. გამორიცხული, რა თქმა უნდა, არაფერია, თუმცა ჩვენ მაინც ისე ვართ განწყობილნი, რომ ფიფა გადაწყვეტილებასშეცვლის.

...სხვათა შორის, სპორტის სამინისტროს კანონის ჩასწორება მეტწილად პრესამ და ტელევიზიამ აიძულა. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ფიფა მის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯს არავის აპატიებდა და, რა თქმა უნდა, არც საბერძნეთს. თუ ფიფამ საერთაშორისო ფეხბურთს ჩამოგვაშორა, მერე კანონი რაღაში გვჭირდება?!

ფიფამ ფინალი ელიზონდოს მიანდო

დაიბადა 1963 წლის 4 ნოემბერს
მსაჯობს 1994 წლის 1 იანვრიდან
პირველი სანაკრებო მატჩი: ეკვადორი — კოლუმბია, 1996 წლის 9 ოქტომბერი.
ცხოვრობს პარადა რობლესში
მშობლიური ენა ესპანური. ლაპარაკობს ინგლისურადაც.
პროფესია: ფიზიკური მომზადების მასწავლებელი.
გატაცება: გოლფის თამაში, ლექსების წერა.
უმსაჯია მატჩები სხვადასხვა კონფედერაციებში: ცენტრალურ ამერიკაში, აზიასა და ევროპაში.

ვინ იქნება ეული რჩეული?

ჯანლუიჯი ბუფონი

ფაბიო კანავარო

ანდრეა პირლო

ჯანლუკა ძამბროტა

ზინედინ ზიდანი

ტიერი ანრი

პატრიკ ვიეირა


მიხაელ ბალაკი

მიროსლავ კლოზე

მანიშე რიბეირუ

მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს ფიფას აკრედიტებული ჟურნალისტები ასახელებენ და მის ვინაობას პლანეტა ფინალის მეორე დღეს, 10 ივლისს შეიტყობს, მანამდე კი შორტ-ლისტის შესახებ: შორტ-ლისტში, რაც კონკურსში მონაწილეთა გამოხშირულ სიას ნიშნავს, ანუ იმ შერჩეულ მოთამაშეთა ჩამონათვალია, რომელთაგან ერთი მუნდიალის საუკეთესოდ დასახელდება, რა გასაკვირია, რომ შეჯიბრებას შემორჩენილი ოთხი ქვეყნის ფეხბურთელები დარჩნენ. ამ ლისტის შემდგენმა ტექნიკურმა ჯგუფმა ყველაზე მეტი კანდიდატი „სკუადრა აძურაში“ შეამჩნია: ჯანლუიჯი ბუფონი, ფაბიო კანავარო, ანდრეა პირლო და ჯანლუკა ძამბროტა. ფრანგთაგან სამნი არიან — ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი და პატრიკ ვიეირა, გერმანიის ნაკრებიდან მიხაელ ბალაკს და მიროსლავ კლოზეს ხვდათ გადარჩეულებში მოხვედრის პატივი, ხოლო პორტუგალიიდან მანიშეს.

„ამჯერად რჩეულის დასახელება გაჭირდება — თქვა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა — და ისიც აღსანიშნავია, რომ შორტ ლისტში ახალი არავინ არის. გამარჯვებით კი, მგონი, უფრო ასაკოვანთაგან გაიმარჯვებს რომელიმე.. მე, პირადად, ზიდანი, ანრი და ფიგუ მომეწონა ყველაზე მეტად, თუმცა, ფიგუ სიაში არ არის“.

საუკეთესო ფეხბურთელს ოფიციალურად 1982 წლიდან ასახელებენ. პირველი ლაურეატი იტალიელი პაოლო როსია, შემდეგ კი იყვნენ: დიეგო მარადონა (1986), სალვატორე სკილაჩი (1990), რომარიო (1994), რონალდო (1998) და ოლივერ კანი (2002).

პაპუნა ძედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპა VS სამხრეთ ამერიკა

კვირას 9:9 გახდება

ევროპული და სამხრეთამერიკული გუნდები მსოფლიოს ჩემპიონობის მხრივ ერთმანეთს გაუთანაბრდნენ. მოგეხსენებათ, 2006 წლის მუნდიალზე ოთხეულში მხოლოდ ევროპული ნაკრებები მოხვდნენ და ფინალშიც საფრანგეთი — იტალია ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველადგილოსნები ნებისმიერ შემთხვევაში ევროპელები იქნებიან. მოკლედ, 9 ივლისს 9:9 ოფიციალურად გახდება ევროპასა და სამხრეთ ამერიკას შორის.

და რით დაიწყო ყოველვე? ეს დიდი ქიშპობა შორეულ 1930 წელს დაიწყო და მეტოქეზე მნიშვნელოვანი უპირატესობა არც ერთ კონტინენტს არ მოუპოვებია. ოცდაათიან წლებში (1934 და 1938) ორჯერ ზედიზედ იტალიელები გახდნენ ჩემპიონები და ბრაზილიამაც ასევე მიჯრით (1958 და 1962) მოახერხა თასის ალმართვა. დანარჩენ ტურნირებზე მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთი შესამჩნევად ვერ დაჩაგრეს.

ყველა ევროპული გუნდის ტრიუმფი შინაურ კონტინენტზე ჩატარებულ მუნდიალებს უკავშირდება. ევროპაში ჩატარებული 10 ჩემპიონატიდან (გერმანია 2006-ის ჩათვლით) „ადგილობრივებმა“ მხოლოდ ერთში, 1958 წლის შვედეთის მუნდიალზე ვერ გაიმარჯვეს — იქ ბრაზილია გახდა უძლიერესი.

სამხრეთ ამერიკამ კი არა მარტო შინ ჩატარებული ტურნირები (ოთხი) მოიგო, არამედ ნეიტრალურ კონტინენტებზეც გაიმარჯვა (სამჯერ ჩრდილოეთ ამერიკაში და ერთხელ აზიაში).

სამხრეთ ამერიკის 9 ტიტული სამ ნაკრებზე იყოფა — ოქროს მედლები ხუთგზის ბრაზილიელებმა, ორჯერ ურუგვაელებმა და ასევე ორგზის არგენტინელებმა მოიგეს. ევროპელები კი აქამდე რვაჯერ გაჩემპიონებულან — იტალია 3, გერმანია 3, ინგლისი 1 და საფრანგეთი 1.

სტატისტიკა შინაურ კონტინენტზე მობურთავე ნაკრებებს წყალობს, მაგრამ საშუალოდ სამშობლოში ჩატარებულ მუნდიალებთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა — 18 მსოფლიოს ჩემპიონატიდან მასპინძლებმა გამარჯვება მხოლოდ ექვსში მოახერხეს.

ლადო ხომერიკი

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გადამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა და ლაი-ლაის აბონენტთათვის.

GEO ჯეო გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ერთგულია ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

© 2002 FIFA TM

www.geocell.ge

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

სამფეროვნებში ეგოლოგიურად სუფთა გარემოა

AFP

ჩვენ ერთად მოვკვდებით!

დომენეკი: ბრავო, აძური!

ასე და ამგვარად, საფრანგეთის ნაკრები კვლავ ფინალშია: 1998 წელს სამფეროვნები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იყვნენ და ტიტული მოიპოვეს, 2000 წელს ევროპის ჩემპიონები გახდნენ და აი, ახლა 2006 წლის მუნდიალის ფინალი მოადგათ კარს. რაღა თქმა უნდა, მათი მწვრთნელი, ათასგზის ნაკრიტიკები რაიმონ დომენეკი ამაყია, როგორც არასდროს:

„ამ ჩემპიონტაზე ორი დიდი ამბავი მოხდა — თქვა მან ნახევარფინალში პორტუგალიასთან 1:0 გამარჯვების შემდეგ — ერთი გახლდათ ჩვენი გამარჯვება ბრაზილიასთან და მეორე, იტალიელთა მიერ გერმანელთა ძლევა. ქედს ვიხრი „სკუადრა აძურას“ წინაშე. ბრავო! ამასთან, ვამაყობ ჩემი ბიჭებით. დღეს გამოჩნდა, რისი გაძლება შეძლებიათ. რაც გერმანიაში ვართ, ასეთი ხისტი ფეხბურთი ჩვენთან არავის უთამაშია. მიხაროდა, როდესაც ვუყურებდი, თუ როგორ მოქმედებდნენ ჩემები. ახლა მთავარია, დახარჯული ძალები აღვიდგინოთ“.

ტურამი: ბოლო ათი წელი ტყუილად არ მიცხოვრია

საფრანგეთისა და პორტუგალიის ნახევარფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ფიფამ ლილიან ტურამი დაასახელა.

„ახლა ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წუთი მიდგას — გული გაუხსნა იუვენტუსელმა მატჩის შემდგომ შემოჯარულ ჟურნალისტებს — თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რას ვგრძნობ ახლა. ბედნიერი ვარ, ამდენი ადამიანის გახარებაში რომ მივიღე მონაწილეობა. 34 წლის გახლავართ და ვხვდები, რომ ბოლო ათი წელიწადი ტყუილად არ მიცხოვრია. იმედი მაქვს, მომავალშიც ყველაფერი ასე ლამაზად გაგრძელდება. ხომ იცით, ნებისმიერი ოცნება ან ბედნიერებით მთავრდება, ანაც კოშმარით. საფრანგეთის დღევანდელ ნაკრებში დიდი ერთსულოვნებაა. აღარსად ჩანს ეგოსთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომლებიც ადრე უკან სწევდა ჩვენს გუნდს“.

ანრი: ლომები ვართ!

ტიერი ანრის და მის ფეხბურთს ყველა კარგად იცნობს. ის თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფორვარდია, მაგრამ პორტუგალიასთან თამაშის შემდეგ თვით ანრიც კი დაცვით იწონებდა თავს.

„ფინალში იმიტომ გავედით, რომ პენალტის გატანის შემდეგ ლომებივით ვიცავდით თავს. მეტოქემ ნამდვილი საგოლე მომენტი ერთხელაც ვერ შექმნა. ყველამ დაინახა, რომ ჩვენს გუნდს აქვს ტექნიკა, ნებისყოფა და გამარჯვების დიდი სურვილი. იმედი მაქვს, რომ საფრანგეთში ჩემპიონებად დავბრუნდებით. მთელი ტურნირის განმავლობაში ვცდილობ გუნდის ინტერესების შესაბამისად მოვიქცე და ჯერჯერობით მიფასდება“.

აბიდალი: გამარჯვება ან სიკვდილი!

„ჩვენი გუნდის თითოეული წევრი მზად არის, დანარჩენებთან ერთად გაიმარჯვოს ან მოკვდეს. იტალიასთან თამაში უძნელესი იქნება, მაგრამ ესპანეთის, ბრაზილიის და პორტუგალიის ძლევის შემდეგ ბუნებრივია, საკუთარი თავის რწმენა რომ გქონდეს“.

ვიეირა: ვიომეთ!

„იმედი მაქვს, რომ საფრანგეთში ჩემპიონებად დავბრუნდებით — სიტყვა სიტყვით გაიმეორა „ეკიპთან“ საუბარში კიდევ ერთმა იუვენტუსელმა, პატრიკ ვიეირამ — ყველა მოთამაშემ ბოლომდე იომა, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ამ თამაშს შევალიეთ, შედეგად კი საოცარი გრძნობები მივიღე“.

სკოლარი: ეს იყო თანაბარი მეტოქეების თამაში

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, დიდმა ფილმა თქვა, რომ საფრანგეთს მის გუნდზე უკეთ არ უთამაშია.

„მსაჯობაზე არაფერს ვიტყვი. დღევანდელ მატჩს მშვენიერი მსაჯი ჰყავდა, რომელმაც თავისი საქმე ზუსტად იცის. სხვაა, რომ ჩემი აზრით, საფრანგეთი პორტუგალიას არ ჯობდა. ეს იყო თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრა, რომლის ბედიც ერთმა მომენტმა, პენალტმა გადაწყვიტა. საფრანგეთის ნაკრებს ძალიან ძლიერი დაცვა ჰყავს, რომელშიც უძლიერესი ფეხბურთელები თამაშობენ. ვფიქრობ, იტალია ამ გუნდთან ფრთხილად უნდა იყოს. პორტუგალია კი პატარა ქვეყანაა, ხოლო პატარა ქვეყნებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ტრადიციულად ძნელი საქმეა. აი, შაბათს გერმანიას თუ დავამარცხებთ, ძალიან კარგი იქნება. ცხადია, ესეც ძნელი იქნება, მაგრამ თუ მესამეზე გავალთ, ნამდვილად დიდ მიღწევად ჩაგვეთვლება“.

პაულეტა: ფრანგებს შანსი აქვთ

ეს პორტუგალიელი ფორვარდი წლებია, საფრანგეთის ლიგაში თამაშობს და ინტერვიუც „ეკიპს“ მისცა:

„მგონი, საფრანგეთის ნაკრებისთვის ყველაფერი კარგად ეწყობა. დღეს ყველაფერი პენალტმა გადაწყვიტა. ფინალში სამფეროვნებს ნამდვილად აქვთ გამარჯვების შანსი“.

ეუსებიო: მესამეც ჯარგია!

პორტუგალიური ფეხბურთის ლეგენდამ ეუსებიომ ტელევიზიით ასე განაცხადა:

„დღეს ბედმა ზურგი გვაქცია, თუმცა ჩვენი ფეხბურთელები ქების ღირსნი არიან. მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა. მართალია, ფინალში არ ვართ, მაგრამ მესამე ადგილისთვისაც აუცილებელია ბრძოლა. მესამე ადგილზე გასვლა ჩინებული შედეგია“.

ფიგუ: ვერ შევძელით

ლუიშ ფიგუს ფეხბურთში ჭიპი აქვს მოჭრილი — გამარჯვების გემოც კარგად მოეხსენება და დამარცხებაც არ არის მისთვის ახალი და უცხო.

„ფეხბურთი აღმაფრენით და დაზღერთებით სავსე სფეროა — თქვა მან — ჩვენ ფინალში გასასვლელად ყველა ღონეს მივმართეთ, მაგრამ ვერ შევძელით მიზნის მიღწევა. ასეა თუ ისე, სრული უფლება გვაქვს, ჩემპიონატი ამაყად, თავაწეულებმა დავტოვოთ. თან ის ხომ ჯერ არც დამთავრებულა, წინ მესამე ადგილისთვის მატჩი გველის.

ურიშტიანუ რონალდუ: მსაჯი ფრანგებს მიემხრო

„მანჩესტერ იუნაიტედის“ და პორტუგალიის ნაკრების მეტად ნიჭიერი გარემარბი კრიშტიანუ რონალდუ ის კაცია, რომელმაც მუნდიალის ბოლო ორ შეხვედრაში ევროპაში სახელის გატეხვა მოასწრო. ჯერ იყო და, ინგლისთან მატჩის წინ თანაგუნდელს, უეინ რუნის აღუთქვა, ნახე, შენს თავს მოედნიდან როგორ გავაძევებინებო და მართლაც, იმ დღეს რუნი მსაჯმა საყოველთაო აზრით დაუმსახურებლად გააგდო. მოგეხსენებათ, რუნიც მანჩესტერელია და დაიქადნა, რონალდუ კლუბში რომ ჩამოვა, შუაში გავგლეჯო, მაგრამ ცხადია, მანამდე დააწყნარებენ, მით უფრო, რომ რონალდუს ვიწრო წრეში უთქვამს, იქ დამბრუნებელი არ ვარო. საფრანგეთთან თამაშის შემდეგ კი ტრიბუნებიდან გვარიანად ნასტვენმა თქვა:

„მაგ სტვენას ყურსაც არ ვუგდებდი. ჩვენ მსაჯმა წაგვაგებინა. მას ფრანგი ფეხბურთელებისთვის ბევრ სიტუაციაში უნდა ეჩვენებინა ყვითელი ბარათი, მაგრამ არ მოიქცა ასე. რატომ? მოდი, დეტალებს ახლა ნუ ჩავუღრმავდებით“.

და ბოლოს

კვირას, მუნდიალის ფინალს სამფეროვანთა ქვეყნის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი დაესწრება.

AFP

პაპუნა კედია

გიო ახვლედიანის სვეტეული

მთა-ვრდე-ბა კარგი იყო? წინას ჯობდა



იცით, რომ ამ ფეხბურთმა, ცოტა არ იყოს და, გამომაშტერა.

იმ დღეს დამიწერია, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინა — საფრანგეთის თამაშში ლეოპოლდო ლუკემ რომ გაუტანა ფრანგებს, კარში ბარატელი იდგამეთქი. დიდი სისულელეა: კარში ბერტრანი დემანი იდგა, ზურგით მარჯვენა ძელს მიეჯახა და დაშავდა. სწორედ ამის გამო გამოჩნდა ძირითადში ბარატელი.

მერე კიდევ, სამიოდ დღის წინ გერმანელი ფეხბურთელები ფლოე და აბრამჩიკი შუაში უმძიმოდ ჩამომითვლია და გამოდის, რომ ფლოე აბრამჩიკის სახელია. აბრამჩიკს, მგონი, რუდიგერი ერქვა.

მოკლედ, ცოტა არ იყოს და, გამომაშტერა.

კიდევ კარგი, რომ მთავრდება.

ერთი სამწუხარო ამბავი შევიტყვე:

სამხრეთ ბრაზილიის ქალაქ ჩაპეიოში ჩემპიონატის წინ აღუმართავთ რონალდინიოს ოცდაორმეტრიანი ძეგლი. ხოდა, სამი დღის წინ დაუწვავთ, ვერ გაგვიმართლაო.

ან რას დგამდნენ, ან რაღას ანგრევდნენ.

ძეგლი არ იქნებოდა, უფრო ფიტული. ბრაზილიაში ასე იციან.

კიდევ კარგი, თბილისშიც არ იყო ეგეთი ძეგლი, თორემ მერე ვიღაცას რომ მისი დაწვა გადაეწყვიტა, სად მიდიხარ? პატრული, სახანძრო, პირდაპირი ჩართვები, უხ... პროვოკაციაო, ეს არი, ის არი. ბრაზილიის ფანობა იტყოდა, ჩვენ როგორ დავწვავდით, სხვებმა მოგვიწყვესო, სხვები კი იტყოდნენ, მაგათ ბომონებთან რა გვესაქმებაო.

გამომძიებლებს უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ბრაზილიელები თვითონ წვავენ თავიანთი ფეხბურთელების ფიტულებს.

სისულელეა, მაგრამ ბრაზილიაში ყოველთვის წვავენ დამარცხებულ თავისიანთა ფიტულებს. სამოცდათვრამეტ წელსაც დაწვეს კლაუდიუ კუტინიოს ფიტული. იყო ასეთი მწვრთნელი, მის ხელში ბრაზილია მესამე ადგილზე გავიდა. ფსიქოლოგ-მეცნიერი კაცი იყო, ფეხბურთელს კი არ ეტყოდა, გაიხსენიო, არამედ, დააფიქსირე მომავლის წერტილიო. დიდი სათვალე ეკეთა. კულტურული კაცი ჩანდა. მერე წყალქვეშა ნადირობისას დაიღუპა საწყალი.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მის გუნდს ლანძღავდნენ, ძალიან მეცნიერულიაო, მაგრამ წლევანდელ ბრაზილიას კი ჯობდა. თამაში არ წაუგია, ფინალში კი იმიტომ ვერ გავიდა, რომ არგენტინამ პერუს 6:0 მოუგო. ზიკო თამაშობდა იქ, ახალგაზრდა იყო, ბებერი რიველინო. ნელინიო და დირსეუ ახვევდნენ ბურთებს... ესენი აღარც ახვევდნენ.

მწვრთნელებზე გამახსენდა: ერიკსონისთვის იამაიკის გაწვრთნა შეუთავაზებიათ. რომ არ შეწუხდეთ, ხანდახან ჩამოდით და დაგვმოძღვრეთო, თანამდებობა შესაფერისია, ოღონდაც, იამაიკელებმა ცხრა ნახევარმცველი უნდა იპოვნონ, თორემ მის ნახაზებში ვერ ჩაჯდებიან და გაწვალდებიან იმ მზეში.

ჰო, როდის გაიტანა ბოლოს გოლი პორტუგალიამ? ერთი საათი ათი კაცით მოთამაშე ინგლისს კარში ერთადერთხელ დაურტყეს და ფრანგებთან რაღა უნდა ექნათ. ვერცა ქნეს, კი ირბინეს ბევრი, მაგრამ, როგორც ერთი ძველი ქომაგისგან გამიგონია, ცარიელა სირბილი რომ თამაშს იგებდეს, ბუტურლაკინი სულ მსოფლიო ჩემპიონი იქნებოდა (ბუტურლაკინი მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელი იყო თბილისის „დინამოს“ ზეობის წლებში), ნამდვილად ასეა. კრიშტიანუ რონალდუმ კი იტირა, მაგრამ ზიდანმა ცივად, ნამდვილ მკვლელივით გატანილი პენალტით მოაკვარახჭინა საქმე. მგონი, მისგან ფეიერვერკს მოელოდნენ, ბრაზილიასთან ნათამაშევის გამეორებას. ეგ რომ შეეძლოს ბებერ ზიზუს, თამაშს კი არ გამოეთხოვებოდა.

თანაც ბრაზილიასთან შეუდარებლად მეტი თავისუფლება ჰქონდა თავისი შემოქმედების საჩვენებლად.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ფინალში მას ფრთების გაშლის საშუალება მისცენ.

თუმცა ზიდანი იმიტომაა დიდი ფეხბურთელი, რომ მარტო შემოქმედი და თამაშის გამხსნელ-წარმართველი კი არა, მკვლელიცაა. ახლა აზრი არა აქვს მის მიერ გატანილი გადამწყვეტი გოლების ჩამოთვლას. მისი გოლები კლავს ხოლმე თამაშს და ეს გოლები შეიძლება იყოს სრულიად წარმოუდგენელი შინაარსისა და სრულიად ჩვეულებრივისაც. ამიტომ, დიდი შელავათი არ არის, მოახერხებს თუ არა ზიზუ თავისი ხლართების გაბმას. ყველანაირად საშიშია.

თუ დომენეკი ოდნავ მაინც შეცვლის თავისი გუნდის თამაშის სურათს, თამაში საინტერესო იქნება და იტალიელთათვის გაძნელდება. იტალია ყველაზე მოქნილი გუნდი გამოდგა ამ ჩემპიონატზე და ტაქტიკას ცხვირსახოცებივით იცვლიდა თამაშიდან თამაშამდე. კარგი იქნება, თუ ფრანგებიც მოახერხებენ ამას. დომენეკმა თითქოს მოგების სურათი დაიჭირა და მისდევს მას: გავიდა რიბერი, შემოვიდა გოვუ, გავიდა ანრი, შემოვიდა საა. თუ კვირასაც ასე იქნა... ვერ იქნება.

მოკლედ, დიდი ჩახლართულობის მოლოდინში უნდა ვიყოთ.

მსაჯად გვეყოლება არგენტინელი ორასიო ელიზონდო, კაცი გოლფისა და მელექსეობის მოყვარული.

ეს საქმე ფიფამ წუხელ გადაწყვიტა.

ამ ჩემპიონატზე მსაჯობა რაღაცნაირ პოლიტიკას მისდევდა: წითლები, ყვითლები, ხელი პენალტი არ არის და ასე შემდეგ. მერე კი ჩამშვიდდნენ, თითქოს ფინალი არ გაფუჭდესო. რაზეც ჯგუფში აძევებდნენ, ახლა აღარც აფრთხილებენ.

ამასობაში კი, „ნიუ იორკ რედ ბულის“ უფროსობას ტყუილში გამოუჭერია იური ჯორკაეფი. იურა იქ თამაშობს ბებრულ ფეხბურთს და კლუბის უფროსობას დათხოვნია, საფრანგეთში საოჯახო პრობლემა მაქვს სასწრაფოდ გადასაწყვეტიო. თამაშიც გაუცდენია. ბრაზილია — საფრანგეთის თამაშზე ხომ დაინახეთ ტრიბუნაზე?! მთელმა მსოფლიომ დაინახა და ალბათ იმ „რედ ბულის“ უფროსობამაც. ეგ ყოფილა მისი საოჯახო პრობლემა, ძმაკაცების მხარდაჭერა სდომებია.

კარგად მოქცეულა, ეტყობა, ისე არ გაუშვებდნენ.

მაგრამ რამდენად გაუგებს ამ ტყუილს ნიუ იორკის კლუბი, ძნელი სათქმელია.

უნდა გამოპარულიყო.

ყველანი იური ჯორკაეფის დასაცავად!

ჩემპიონატი კი მთა-ვრდე-ბა.

დამთავრდა თითქმის.

კარგი იყო?

წინას ჯობდა.

ხელები შორს, იური ჯორკაეფისგან!

დიეგო დელა ვალე

დაანებეთ მოჯის თავი!

სად არის მაფიის ერთიანობა?

კორუფციულ სკანდალში გახვეულმა დიდმა იტალიურმა კლუბებმა თამაშების ჩაწყობაში მონაწილეობა, რასაკვირველია, უარყვეს და მეტიც, „ფიორენტინას“ პრეზიდენტმა დიეგო დელა ვალემ თავის გუნდს მსხვერპლიც კი უწოდა — აი, ასე გაგრძელდა რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ მიმდინარე სასამართლო პროცესი, მას მერე, რაც „იუვენტუსის“ ვექილმა მისი დასაცველი კლუბის დანაშაული ფაქტობრივად აღიარა და ტრიბუნალს სერია C-ს ნაცვლად მხოლოდ სერია B-ში გაგდება სთხოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაოლო ბერგამო

შეგახსენებთ, რომ რომაული სასამართლო კორუფციასა და მაქინაციებში ეჭვმიტანილი 26 ადამიანის დასჯის გარდა, შესაძლოა, მართლაც დასრულდეს „იუვენტუსის“, „მილანის“, „ლაციოს“ და „ფიორენტინას“ სერია A-დან გაგდებით. სხვა ამბავია, რომ, როგორც ზემოთ გითხარით, „იუვეს“ სერია C-ში დაქვეითება ემუქრება, დანარჩენ სამს კი შესაძლოა, სერია B აკმარონ.

მაშ ასე, იტალიურ გიგანტებს მართლმსაჯულებისგან თავის დაცვისას ერთი პირი არ ჰქონიათ. „მილანისა“ და „ლაციოს“ ვექილებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ მათ კლუბებს არანაირი დანაშაული არ მიუძღვით და საერთოდ ვერ გაუგიათ, რა. მაქინაციებში მონაწილეობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი.

გუშინ, „ლაციოს“ ვექილმა ჯანმიქელე ჯენტილემ განაცხადა: „ჩვენი კლუბი აბსოლუტურად უდანაშაულოა. რა უნდა ვაღიაროთ, როდესაც საღიარებელი არაფერი გვაქვს. „იუვენტუსის“ ადვოკატმა რაც განაცხადა, ყველამ კარგად მოვისმინეთ და ეჭვი არ არის, მან მისი კლუბისთვის საუკეთესო გამოსავლად სწორედ ასე მოქცევა მიიჩნია, მაგრამ „ლაციოს“ დასამალი არაფერი აქვს და ვერავის ვერანაირ შეწყალებას ვერ სთხოვს“.

მარკო დელა ლუნა, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ადვოკატი: „მსაჯების დანიშვნაში ჩარევა? ასეთი თვისება არც გალიანის აქვს და არც „მილანს“. „მილანმა“ ამ ფედერაციას, რომლის წევრებიც ახლა ბატონო მოსამართლეებო თქვენც ბრძანდებით, უამრავი ჯილდო მოუტანა და შესაბამისად, პატივისცემით მოპყრობასაც ითხოვს. ჩვენ ვამაყობთ მილანელები რომ ვართ“...

„ფიორენტინას“ პრეზიდენტი და მეპატრონე დიეგო დელა ვალე: „ჩვენ ვფიქრობდით, რომ მსაჯთა შეცდომები მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლით იყო განპირობებული, ხოლო კორუფციული სისტემა თუ არსებობდა, წარმოდგენა არ გვქონდა. ამ საქმეში „ფიორენტინა“ მსხვერპლია“.

დელა ვალემ ერთ ფრიად საინტერესო ამბავსაც გაუსვა ხაზი — 2004-05 წლების სეზონში სერია A-ს თამაშებზე მსაჯებს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელი, მავანი პაოლო ბერგამო ანაწილებდა. სწორედ ამ ადამიანისთვის შეუჩივლია „ფიორენტინას“ შეფს, ვატყობ, ჩვენდამი მტრულად განწყობილი მსაჯები არსებობენ და რაიმე უნდა ვიღონოთო, რაზეც ბერგამოს მიუგია, რომ შეცდომებისგან არც ერთი არბიტრი არ არის დაზღვეული, თუმცა მას შეუძლია ფლორენციული გუნდის ისეთ განშტოებაში ჩასმა, სადაც თამაშებს საუკეთესო მსაჯები ემსახურებიან.

ცნობისთვის: თავად დელა ვალეს ფეხბურთიდან ხუთწლიანი მოკვეთა ემუქრება.

სასამართლო პროცესზე სიტყვით გამოვიდა „იუვენტუსის“ ერთ-ერთი შეფთაგანის, ანტონიო ჯირაუდოს ვექილი ლუიჯი კიაპეროც, რომელმაც ჯირაუდოსა და ფეხბურთის ფედერაციის ორი თანამშრომლის (რომელთაგან ერთი ზემოხსენებული ბერგამოა) სატელეფონო საუბრებზე ასე თქვა:

„ვინაიდან ჩემმა კლიენტმა ფედერაციის ჩინოსნებს მხოლოდ და მხოლოდ კვალიფიციური მსაჯის დანიშვნა სთხოვა, ხოლო არბიტრთა თამაშებზე განაწილება მისგან სრულიად დამოუკიდებელი პროცესია, აქ არანაირი მაქინაცია არ არსებობს“.

ხოლო „იუვენტუსის“ ადვოკატმა, ჩეზარე ძაკონემ, როგორც ზემოთ გითხარით, ტრიბუნალს ტურინული გუნდის სერია C-ს ნაცვლად მხოლოდ და მხოლოდ სერია B-ში გაგდება სთხოვა.

„ადექვატური სასჯელი სერია B-ში დაქვეითება და იქ ქულების დაკლება იქნება“ — თქვა ძაკონემ ბრალმდებლის, სტეფანო პალაცის წინა დღის მოთხოვნის პასუხად. შეგახსენებთ, რომ პალაცომ „ბებერი ქალბატონის“ სერია C-ში გაძევების გარდა, მისთვის ახალი სეზონის მინუს ექვსი ქულით დაწყება მოითხოვა. „მილანისთვის“ პროკურორს სერია B და მინუს სამი ქულა, ხოლო „ლაციოსა“ და „ფიორენტინასთვის“ სერია B და მინუს თხუთმეტი ემეტება.

და, ძაკონეს კიდევ ერთი საინტერესო გამონათქვამი:

„შეუძლებელია საუბარი ლუჩანო მოჯის პირდაპირ პასუხისმგებლობაზე, რადგან ის „იუვენტუსის“ ოფიციალური წარმომადგენელი მსაჯთა დანიშვნის საკითხებში არასდროს ყოფილა. რაც შეეხება ანტონიო ჯირაუდოს, მასზე კიდევ შეიძლება ლაპარაკი, ოღონდ ისიც ირიბად“.

რას ნიშნავს ვექილის ეს სიტყვა? მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ტურინული კლუბი თავისი ყოფილი გენერალური დირექტორისგან, ლუჩანო მოჯისგან გამიჯვნას ცდილობს.

ძაკონე: „ბრალმდებლის მიერ მოთხოვნილი სანქცია „იუვენტუსს“ 80 პროცენტით გააკოტრებს... დახეთ, რა ხდება — ჩვენს ფეხბურთში ბარე ხუთი კორუფციული სისტემა ყოფილა. ცნობილია გენუის, ფლორენციის, რომისა და მილანის სისტემები. რომაული სისტემა ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებს მოიცავდა და რაც მთავარია, ეს სისტემები ერთმანეთთან მუდმივ წინააღმდეგობაში იყო. საინტერესოა საკითხის ღრმად შესწავლა და იმის გარკვევა, თუ რატომ ვერ იქნება მაფიური საყოველთაო სისტემა“...

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ფრანკო კარარო: „სპორტულ მაქინაციებში მონაწილეობის ბრალდება ჩემთვის შეურაცხმყოფელია. ჩვენ წრფელი გულით ვმუშაობდით და არავინ არაფერში მოგვიტყუებია. თუ რაიმე დამტკიცდება, ეს ჩემამდე, 2004-05 წლების სეზონს შეეხება“.

ბოლოს კი გთავაზობთ ციტატებს „სტადიო ოლიმპიკოს“ ტრიბუნალის წინაშე გუშინ წარმდგარ ეჭვმიტანილთა გამოსვლებიდან.

ანტონიო ჯირაუდო: „ფეხბურთში რა არ ხდება. ზოგნი მსაჯებს „როლექსებს“ ჩუქნიან, ზოგიც ანგარიშს უხსნის... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ სფეროში შესული ადამიანი იძულებული ხარ, ასეთი გარემოსგან რამენაირად თავიც დაიცვა და შენი ინტერესიც არავის დააჩაგვრინო“.

ინოჩენტო მაცინი, ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი: „ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ კარგად წარმოიდგინოთ, რომ მე ფედერაციაში 40 წელიწადია უხელფასოდ ვმუშაობ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი ლირაც არ მომითხოვია... სინიორ ლუჩანო მოჯის ძალიან დიდი ხანია ვიცნობ, ის ჩემი მეგობარია. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით და აქვე მინდა ერთი იცოდეთ, როდესაც ორი ტოსკანელი ლაპარაკობს, საუბარი ყოველთვის ორაზროვანია, თუმც დანაშაულებრივი არასდროს არაფერი გაგვიკეთებია“.

პაპუნა კვედია

AFP მადრიდიდან

კალდერონმა კაპელოს ყველაზე მთავარი მისცა: თავისუფლება!

მადრიდის „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა რამონ კალდერონმა ინჩასებს დანაპირები აუსრულა: ფაბიო კაპელო გუშინ ოფიციალურად გახდა ამ გუნდის მწვრთნელი

„ძალიან დიდი ენთუზიაზმით ვიწყებ მუშაობას. „რეალი“ უდიდესი კლუბია და ისევ გამარჯვებებისკენ უნდა შემოვაბრუნოთ. ბოლო წლებში „რეალმა“ მითიური შარავანდედი დაკარგა. კრიზისის დაძლევას ყველანი ერთად შევეცდებით“ — მოკლედ განაცხადა კაპელომ პრეზენტაციაზე.

თავის მხრივ, პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა მედიას უთხრა, კაპელოს და ახალ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს სატრანსფერო პოლიტიკაში სრული თავისუფლება ექნებათო.

„თუ ხალხს რამეს დავპირდი არჩევნებისას, ჯერჯერობით ესაა. დანარჩენს კი კაპელო, მიატოვიჩი და დირექტორატის წევრები თავად გააკეთებენ, მე კი ხელს შევუწყობ. მწვრთნელსა და სპორტულ დირექტორს არც ფინანსურად და არც რაიმე სხვა სახით არ შევზღუდავთ“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

რაც შეეხება დაპირებას — სენიორ კალდერონის საარჩევნო აღთქმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დონ ფაბიოს, კაკას, ემერსონის, სესკ ფაბრეგასისა და მაჰამადუ დიარას ჩაყვანა იყო.

პირველი უკვე არის — 60 წლის ფაბიო კაპელო „რეალის“ მწვრთნელი 10 წლის წინაც გახლდათ, 1996-1997 წლების სეზონში. მაშინ იტალიელმა სამეფო თეთრებს ესპანეთის ჩემპიონობა მოაგებინა.

ლადო ხომერიკი

სიმაო მადრიდში მაქსი იქნებაო



მადრიდის „ატლეტიკო“ „ბენფიკას“ სიმაო საბროსათია დაინტერესებული. ცოტა ხნის წინ „ატლეტიკოს“ „ვისენტზე კალდერონზე“ რაულ გარსიას გადაყვანა სურდა, თუმც „ოსასუნამ“ ამ ფეხბურთელის გასხვისებაზე სასტიკი უარი თქვა და მადრიდში გადაბარგებულმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემაც ნავარიდან ძველ შეგირდზე ფიქრი დაივიწყა.

სიმაო კი თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე თამაშობს და, თუ მისი „ატლეტიკოში“ ჩარიცხვა მოხერხდა, იქაური ვარსკვლავი, არგენტინელი მაქსი როდრიგესი ფლანგებზე სირბილს თავს დაანებებს და მოედნის ცენტრში გადაინაცვლებს, სადაც ყველაზე უკეთ ეხერხება თამაში.

მაგრამ აგირესთვის სიმაოს მონადირება არც ისე ადვილია. პორტუგალიელს ბობოლა ევროპული კლუბებიც ეპატიჟებიან — „ლივერპული“ მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი მას აგერ უკვე ორი წელიწადია, დასდევს. „მანჩესტერში“ კრიშტიანუ რონალდუს შემცვლელად ესახებათ და „ვალენსიას“ თავკაცი კიკე სანჩეს ფლორესიც ფრიად მოწადინებულია, ბენფიკელი თავის მოწაფედ იხილოს. ლისაბონურმა კლუბმა კი ვარსკვლავის სატრანსფერო ფასად 15 მილიონი ევრო თქვა.

სიმაო საბროსა ახლა 26 წლისაა და საერთოდ არაფერი აქვს საერთო იმ 19 წლის ყმაწვილთან, 1999-ში კატალონიურ „ბარსელონაში“ დიდი იმედებით რომ მიიჭრა, იქიდან კი უსუსური ბურთაობის გამო დაითხოვეს. სიმაომ „ბენფიკაში“ გაიბრწყინა, ლისაბონში ჩინებული სეზონები ატარა და 68 გოლიც შეაგდო.

ლადო ხომერიკი

სპარსი პრიმერაში
ნეკუნამი ლიგამ მოხიბლა

ესპანეთის ჩემპიონატს ეგზოტიკური ფეხბურთელი შეემატა — ირანელმა ჯავად ნეკუნამმა პამპლონის „ოსასუნასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ირანის ეროვნული გუნდის ნახევარმცველი აღრე საამიროების „ალ შარიაჰში“ ბურთაობდა, იქიდან კი თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვიდა და წლეულს „ოსასუნას“ რიგებში ჩემპიონთა ლიგაშიც მიიღებს მონაწილეობას.

„დასამალი არ არის, „ოსასუნაში“ ყველაზე მეტად ლიგაში თამაშის პერსპექტივამ მომხიბლა და ეს კლუბი ამიტომაც ავირჩიე. თან ესპანეთის ჩემპიონატიც მაღალი დონისაა: ევროპულ კლუბებში მოთამაშე ირანელმა ფეხბურთელებმა პრიმერადივიზიონის გუნდები კარგად დამიხასიათეს“ — აღნიშნა ნეკუნამმა უურნალისტებთან საუბარში.

„ოსასუნას“ სელექციონერები ირანელს საკმაო ხანს აკვირდებოდნენ — საამიროების ჩემპიონატზე, აზიის თასზე და მსოფლიოს ჩემპიონატზეც.

„ნეკუნამი 25 წლისაა, მუნდიალზე კარგად ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში პრიმერადივიზიონთან შეჩვევა შეიძლება, გაუჭირდეს, მაინც აქვს საკმარისი გამოცდილება ევროპულ ლიგაში სათამაშოდ“ — განაცხადა „ოსასუნას“ ტექნიკურმა დირექტორმა ხუანხო ლორენცომ.

ლადო ხომერიკი

შეგირდი და მასწავლებელი
ბენიტესმა აურელიო მოიგო

რაფა ბენიტესის „ლივერპულმა“ ესპანური პრიმერადივიზიონიდან ფაბიო აურელიო „მოიტაცა“ — „ვალენსიას“ აწ ყოფილი მცველი მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში „ენფილდ როუდზე“ ითამაშებს. აურელიოს ბენიტესი ადრეც წვრთნიდა, სამი წლის მანძილზე „ვალენსიაში“ ბრაზილიელის დამრიგებელი იყო. ამიტომაც რაფა დიდის ამბით შეეგება ყოფილი შეგირდის ლივერპულურ არჩევანს: „ფაბიო აურელიო შესანიშნავი ფეხბურთელია და ეს ტრანსფერი ჩვენი გუნდისთვის მომგებიანი იქნება“.

ბენიტესის აზრით, აურელიო ტექნიკურად ძალიან დახვეწილია და მარცხენა ფეხით უძლიერეს დარტყმას ფლობს, თან მებრძოლი სულისკვეთებითაც გამოირჩევა“.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპული“ პრიმერას კიდევ ერთ ფეხბურთელზე, ბეტისელ ხოაკინზეც ნადირობს, თუმცა მათ ლონდონის „ჩელსი“ ეცილება — იქაურებს კლუბიდან არიენ რობენის სავარაუდო წასვლა აფიქრებთ და მის შემცვლელს ეძებენ.

ხოაკინის ერთ-ერთი მსურველი მადრიდის „რეალიცაა“. სამეფო გუნდში, მოგეხსენებათ, ფაბიო კაპელო მივიდა მწვრთნელად, რომელსაც ამ გარემარბის თამაში თურმე ძალიან მოსწონს.

ლადო ხომერიკი

ფერგიუსონმა ძალიან შეტოპა
სერ ალექსი ფეხბურთელებს სულში და კანში უძვრება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი თავისი ფეხბურთელებისთვის კანქვეშ საგანგებო ჩიპების დამონტაჟებას ითხოვს. საქმე ისაა, რომ ამ მეთოდით ლეგენდარულ მენეჯერს მოთამაშეთა ადგილსამყოფელი მუდმივად ეცოდინება.

რა იფიქრეთ? თქვენ გგონიათ, ფერგიუსონს თავისი ფეხბურთელები ქუჩა-ქუჩა და ქალაქ-ქალაქ ძებნა აქვს განზრახული? არა და არა. სერ ალექსმა თავად უთხრა ჟურნალისტებს, რომ მისთვის მთავარია, ზუსტად აღრიცხოს მოთამაშეთა ყოველწამიერი მდებარეობა საფეხბურთო მოედანზე, რაც მათ გადაადგილებაზე და, შესაბამისად, ფიზიკურ მომზადებაზე მიაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას და, როდესაც ეს ინფორმაცია მის ხელთ იქნება, სამომავლო გეგმებსაც უკეთ დასახავს.

როგორ ფიქრობთ, გამოუვა „იუნაიტედის“ შეფს ამ საქმიდან რამე? ალბათ, არა, რადგან, რამდენადაც ცნობილია, კლუბში მისი განზრახვა ადამიანთა პირად ცხოვრებაში ჩარევის მცდელობად მიიღეს.

პაპუნა კედია



სპორტის ენციკლოპედია
მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (აღმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

ო სოლე მიო...

მარჩელო ლიპი: ჩვენ კიდევ ვამღერებთ რომანო პროდის

12 წლის შემდეგ იტალია კვლავაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშია. მარჩელო ლიპის თავკაცობით იტალიელებმა გერმანული მუნდიალის ნახევარფინალში მასპინძელი გერმანია დაამარცხეს და ახლა გადამწყვეტი ჯახი ელით საფრანგეთთან და ვფიქრობთ, მაესტრო ლიპისთან ინტერვიუ სწორედაც რომ უპრიანია.

„სკუადრა აძურას" მწვრთნელთან ინტერვიუ გუშინ ფიფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა

— თავს როგორ გრძნობთ?

— დაღლილი ვარ. ვიდეოზე ხელახლა ვნახე იტალია — გერმანიის მატჩი, დამატებითი დროის ჩათვლით... მიყვარს მნიშვნელოვანი თამაშების თავიდან ნახვა... პრობლემა ის არის, რომ ტელევიზორს დილის ხუთ საათზე მოვცილდი, რვის ნახევარზე კი მაღვიძარამ ფეხზე წამომაგდო. აი, ასეთ დღეში ვარ...

— როგორ ფიქრობთ, გერმანიასთან ნახევარფინალი იტალიური ფეხბურთის ისტორიაში მოხვდება? ბუნდესნაკრებს ხომ დორტმუნდში აქამდე წაგება არ უნახავს...

— ისტორიისას ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩემს კარიერაში რომ ყველაზე მთავარი მატჩი იყო, ცხადზე ცხადია. ბიჭებმა მინდორზე მთელი იტალიის ემოცია გაშალეს. ძალიან დიდი თამაში იყო, მეტოქის მოედანზე მოგებული. რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ახლა ფინალის მოგებაა საჭირო.

— გასახდელში ფეხბურთელებს გამარჯვების შემდეგ პირველად რა უთხარით?

— რა უნდა მეთქვა, როგორც ყველა ჩვენიანი, სიხარულისგან ვლრიალებდი. მერე ფეხბურთელების დაშშვიდება ვცადე, წინ ფინალი გველოდება-მეთქი. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული: ინტერვიუებში ვიყავი ჩაფლული, როცა იტალიის პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ „ო სოლე მიო" იმღერა, მე კი ეს ცოცხლად ვერ მოვისმინე. იმედი მაქვს, სინიორ პროდის ნაფინალევს მოვუსმენ.

— ძირითად დროში გერმანიას, ფაქტობრივად, ოთხი თავდამსხმელით უტევდით...

— შევეცადე, შემადგენლობა გაწონასწორებული ყოფილიყო. თან ისეთი ფეხბურთელები ვათამაშე, საჭიროების შემთხვევაში პენალტებიც რომ დაერტყათ.

— ფინალს როგორ ეგებებით?

— ავზი საწვავით სავსეა, უხეშად რომ ვთქვათ... გერმანიასთან კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ და ბიჭებიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ერთიორად გაიზარდნენ.

— ფრანგებთან დისკვალიფიკაციებს ასცდით...

— დიახ, ასეა. მომავალ მეტოქეზე მოხერხებულად ავიცილეთ სულელური ბარათები.

— რომელიმე თქვენი მოთამაშის თავდადებას თუ გამოარჩევდით განსაკუთრებით?

— ფაბიო კანავაროსთვის ბერლინის ფინალი ნაკრებში ჩატარებული მეასე მატჩი იქნება. წლეულს ფანტასტიკურად ითამაშა მუნდიალზე. მას მსოფლიოს ნომერ პირველ მცველად ვთვლი.

— 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების წარმატების საიდუმლო გვითხარით...



— ჩეხებთან ჯგუფში გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჯგუფში დაკავებული პირველი ადგილით მუნდიალზე შემდგომი სვლა გავიადვილეთ, თუმც მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლად მაინც ვერაფერს მიაღწევ.

— მეგოლეებით ვერ დაიკვეხნით — მართალია, ათმა იტალიელმა გაიტანა, მაგრამ ორი ბურთის შეგდება მხოლოდ ლუკა ტონიმ შეძლო...

— ეს დამახასიათებელია იმ გუნდებისთვის, სადაც ემწვრთნელობ. ცალკეულ პროვინციებზე არ ვარ დამოკიდებული, ჩემთან ყველა განსაკუთრებულ როლს თამაშობს. დარწმუნებული ვარ, ბერლინშიც ასე იქნება.

სიხარულითაც კვდებიან

ფრანგული ზეიმის ტრაგედიები

საფრანგეთის ნაკრების პორტუგალიასთან გამარჯვების შემდეგ სამფეროვანთა ქვეყანაში ზეიმმა ნამდვილი სიგიჟის მასშტაბი შეიძინა. შედეგი: სამი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ერთი კინაღამ დაიხრჩო... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქუჩაში გამოსული დანარჩენი ნახევარი მილიონისთვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ყველაზე მეტად მოზეიმეებმა თავი პარიზში, ლიონში და ზინედინ ზიდანის მშობლიურ მარსელში მოიგიჟიანეს. აქა-იქ პოლიციელებს ცრემლმდენი გაზების გამოყენება მოუხდათ, ხოლო პარიზში 189 ახალგაზრდა დასაჭერიც კი გახდა. ასეთ ვითარებაში რაა გასაკვირი, რომ გარკვეული რაოდენობა ხალხისა დაშავდა, სამი კი, როგორც გითხარით, დაიღუპა.

პარიზში, მეტროს სადგურ „ოპერაში" 18 წლის ყმაწვილი მეტროს ერთი მატარებლის სახურავიდან მეორე მატარებელზე გადახტომას ცდილობდა. და ბედმა უმუხთლა. პარიზშივე მოტოკატასტროფაში დაიღუპა 20 წლის ვოგო — ის მგზავრის ადგილზე იჯდა, როდესაც მძღოლმა მართვა დაკარგა და პირდაპის ხალხის ნაკადში შევარდა, სადაც სამი ადამიანი დააშავა. სერიოზულად არის დაშავებული თავად მძღოლიც.

ქალაქ ლანსის ჩრდილოეთ ნაწილში ასევე 20 წლის ვოგო ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა — ფანჯრიდან გადმოყოფილი სამფეროვანთა ნაკრების გამარჯვებას ზეიმობდა, როდესაც მძღოლმა ფეხით მოსიარულესთვის მანქანის ასარიდებლად მკვეთრად მოუხვია და თავისი მგზავრი მიანარცხა რაღაცას.

ხოლო ლიონში ახალგაზრდა და მისი მეგობრები სიხარულით ხიდიდან მდინარეში ჩახტნენ და ერთი მათგანი კინაღამ დაიხრჩო.

სხვა მხრივ კი, როგორც მოგახსენეთ, მშვიდობა იყო და სრულიად საფრანგეთმა „ზიზუ ზიზუს" ძახილში გაათენა ღამე. ცხადია, დიდი ზეიმი მოეწყო პარიზშიც, ცნობილ ელისეს მინდვრებზე, თუმც ახალგაზრდა ხულიგანთა ერთმა ჯგუფმა აქაც მოახერხა მდგომარეობის არევა — რატომღაც პოლიციას ბოთლების და სხვა რაღაც საგნების სროლა აუტეხა. სხვათაშორის, დაიმსხვრა მხოლოდ ერთი მაღაზიის ვიტრინა და საერთოდაც, მატერიალური ზარალი ასეთი მასშტაბის სპონტანური დღესასწაულისთვის უმცირესი. გახლდათ.

ბუნებრივია, ცენტრთან შედარებით უფრო ცუდი ვითარება იყო სხვა და სხვა უბანში. ერთგან, დიდ ეკრანზე ფეხბურთის ყურებისას, ვიღაცებმა 18 წლის ბიჭი დანით დაჭრეს, მეორეგან, ამავე ასაკის ხულიგნებმა ბუნკერებში ნაგავს ცეცხლი წაუკიდეს და 15 მანქანაც დააზიანეს. მაშხალამ მსუბუქად დააშავა ორი პოლიციელი.

გრენობლში დაიჭირეს 15 ადამიანი, რომლებმაც პოლიციას ლუდის ქილები დაუშინეს. იყო ქუჩური ჩხუბებიც.

წინასწარი მონაცემებით, კვირას საფრანგეთისა და იტალიის ფინალურ მატჩს ქუჩაში 25 მილიონი ადამიანი ნახავს...

პაპუნა კედია

ესპანურმა „ვალენსიამ" ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი ფერნანდო მორიენტესთან. 30 წლის ფორვარდმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და მომავალ სამ წელს „მესტალიაზე" გაატარებს. გავრცელებული ცნობით„, ლივერპულმა" მასში 6 მილიონი ევრო მიიღო. პარალელურად, „ლამურების" ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ახალი კლუბის ძიება მოუწევს პატრიკ კლუივერტს. სავარაუდოდ, ივივე ბედი ეწევათ მარკო დი ვაიოს, ბერნარდო კორადის, სტეფანო ფიორესა და ფრანსისკო რუფეტეს.

იტალიურმა „იუვენტუსმა" სერია B-ს ბინადარ „კროტონედან" ნიჭიერი ნახევარმცველი აბდულა კონკო დაიმატა. აპენინური პრესა კი ირწმუნება, თითქმის გადაწყვეტილია, „ბებერი ქალბატონის" ახალი თავკაცი 38 წლის დიდიე დეშანი გახდებაო. კიდევ ერთი კანდიდატი ალბერტო ძაკერონია.

ინგლისური „ნიუკასლის" ხულიგანი ნახევარმცველი ლი ბოიერი კლუბმა 600 გირვანქით დააჯარიმა. მიზეზი გასული წლის აპრილში თანაკლუბელ კირონ დაიერთან ჩხუბია, რის გამოც იგი უკვე გვარიანად დაისაჯა. ახლა კი ბოიერმა აღიარა, ჩხუბი მე წამოვიწყეო.

პოლონეთის პოლიციამ მაანი მსაჯი დააკავა, რომელიც მეორე და მესამე დივიზიონის მატჩებს აწყობდა. ქრთამი საშუალოდ 5 ათასი ევრო გახლდათ. გამოძიება გრძელდება, ეჭვმიტანილები ფეხბურთელები და ოცამდე არბიტრია.

იტალიურმა „რომამ" „ლეჩესგან" მარკო კასეტის კონტრაქტის ნახევარი გამოისყიდა. შეთანხმების მიხედვით, 29 წლის მცველმა „გლადიატორთა" რიგებში ოთხი წელი უნდა გაატაროს. სეზონში იგი 800 ათას გირვანქას მიიღებს, „ლეჩემ" კი 1 მილიონი გირვანქა ჩაიჯიბა.

ინგლისური „ჩელსი" ფიფას მიმართავს და სთხოვს, მადრიდის „რეალის" ახალ პრეზიდენტ რამონ კალდერონს არიენ რობენთან მოლაპარაკება აუკრძალოს. ლონდონელები მიიჩნევენ, რომ კალდერონი ჰოლანდიელს მათ ზურგს უკან დაუკავშირდა და ტრანსფერის გაჩარხვას წესების დარღვევით ცდილობდა.

გერმანულმა „გლადბახმა", „ბოკა ჯუნიორსიდან" ფედერიკო ინსუა შეიძინა. 26 წლის ნახევარმცველი არგენტინული გრანდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. ტრანსფერი 6 მილიონი დოლარი დაჯდა. კონტრაქტი კი ოთხწლიანია.

იტალიურმა „ლაციომ" „პალერმოდან" 28 წლის ნახევარმცველი მასიმო მუტარელი დაიმატა. ფეხბურთელმა სერია A-ს გასული სეზონი მშვენივრად ჩაატარა და ამიერიდან 2011 წლამდე იქნება „ლაციალეს" საკუთრება.

მეგობრობაც ამას ჰქვია

ლემანმა, კანი დააყენეთო

მესამე ადგილისთვის პორტუგალიასთან მატჩში, დიდი შანსია, გერმანიის კარში ბუნდესნაკრების ძველი კარის დარაჯი, ოლივერ კანი ვიხილოთ. პირველ ყოვლისა, ეს ნაკრების ახლანდელი პირველი მეკარის, იენს ლემანის, სურვილია.

„თუ მწვრთნელი დაგვეთანხმება, ოლივერს სიამოვნებით დავუთმობდი ჩემს ადგილს“ — ამბობს ლემანი. მოკლედ, ამ ორი გოლკიპერის ურთიერთობებში სითბო აშკარად იგრძნობა. აცივება კი ორი წლის წინ დაიწყო, როდესაც ნაკრები იურგენ კლინსმანმა ჩაიბარა და მაშინვე გამოაცხადა, კარში ადგილი არავის აქვს დაჯავშნული, იმას დავაყენებ, ვინც უკეთეს ფორმაში იქნებაო. მაშინ 35 წლის კანი ნამდვილად არ იყო საუკეთესო ფორმაში და კარის დარაჯის თითქოს ხელშეუხებელი თანამდებობაც დაკარგა. მოკლედ, ასე დაითესა სიძულვილი მასსა და მის მემკვიდრეს შორის.

მაგრამ არგენტინასთან მეოთხედფინალურ მატჩში, პენალტების სერიის წინ, კანმა სიძულვილს გადააბჯა და ლემანი მეგობრულად გაამხნევა, მერე კი ეს თქვა — ჩემს ნაკრებს, რითით შემეძლო, ისით ვეხმარებოდიო.

ახლა კი ლემანი აკეთებს საპასუხო თავაზიან ჟესტს, უფროს კოლეგას ადგილს უთმობს. მართალია, არცთუ მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში და ამით, თითქოს, უთქმელად იბოდიშებს, ჩვენს შორის უთანხმოება პროფესიულმა სიტუაციამ მოიტანა და არა პირადმა ამბიციებმა.

კოტე ყორღია

ინგლისურმა „საუთჰემპტონმა“ „მანჩესტერ სიტის“ ფორვარდი ბრედლი რაიტ-ფილიპსი იყიდა. ტრანსფერის ფინანსურ დეტალებს მხარეები არ ახმაურებენ. მოგეხსენებათ, 21 წლის ბრედლი ჩელსელი შონ რაიტ-ფილიპსის ძმა და ორივე მათგანზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ესპანური „რეალის“ ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო მალე მუხლის ოპერაციას გაიკეთებს. მარცხენა მუხლი მას უკვე რვა თვეა, აწუხებს და 29 წლის თავდამსხმელის ექიმმა ჟოზე ლუიშ რუნკომ აღნიშნა, რომ ახლა სწორედ დროული იქნება ამ ოპერაციის გაკეთება. წესით, რონალდო მომავალი სეზონის დაწყებას მწყობრში შეხვდება.

საფრანგეთის პირველ დივიზიონში დაბრუნებულმა „ლორიანმა“ ალჟირელი ნახევარმცველი იაზიდ მანსური შეიძინა. მხარეებმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. 28 წლის ფეხბურთელმა ბოლო ორი სეზონი „შატორუში“ გაატარა.

ესპანური „ლევანტე“, რომელიც მომავალი სეზონიდან პრიმერადივიზიონში ითამაშებს, საცაა გამოცდილ ფრანგ მცველ ფრედერიკ დეუს შეიძენს. „მარსელის“ 33 წლის ფეხბურთელი უკვე ჩავიდა ვალენსიაში და კონტრაქტის დეტალებს ათანხმებს.

იტალიურმა „უდინეზემ“ ალბანელი ფორვარდი ერიონ ბოგდანი დაიმატა. 29 წლის ფეხბურთელი 6 წელია, იტალიაში თამაშობს და უკვე მოასწრო „სიენას“, „რეჯინას“, „სალერნიტანასა“ და „ვერონას“ რიგებში თამაში.

ჰოლანდიურმა „გრონინგენმა“ პერსპექტიული ურუგვაელი თავდამსხმელი ლუის სუარესი იყიდა. 19 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ ურუგვაელმა „ნასიონალმა“ ოდენ 1 მილიონი დოლარი მიიღო, რასაც ადგილობრივი პრესის მწვავე რეაქცია მოჰყვა. თუმცა მონტევიდეოელთა თავკაც კარლოს როდრიგეს ბატლეს თქმით, წასვლა თავად სუარესის სურვილი იყო და ვერ გადააფიქრებინეს.

ბერძნულმა „პანიონიოსმა“ პორტუგალიელი ფორვარდი კარლუშ კარნეირუ დაიმატა. კონტრაქტი ორწლიანია, ხოლო ტრანსფერის ფინანსური მხარე უცნობი. 29 წლის ფეხბურთელი აქამდე „ჟილ ვისენტეში“ ირიცხებოდა.

ფრანგი ნახევარმცველი იური ჯორკაეფი, რომელიც ფრანკფურტში ბრაზილია — საფრანგეთის მეოთხედფინალურ მატჩს დაესწრო, გერმანულმა პოლიციამ დააკავა. როგორც ირკვევა, 2001 წლის სექტემბერში, როდესაც იგი „კაიზერსლაუტერნში“ თამაშობდა, ჯორკაეფი თავისი მანქანით მავან პიროვნებას დაეჯახა და ავტომობილი დაუმტვრია. „ლაუტერნის“ დატოვების შემდეგ კი გერმანიაში აღარც გამოჩენილა და ეს ინციდენტიც დაივიწყა. ახლა 38 წლის ფეხბურთელს 77 ათასი ევრო გადაახდევინეს.

გაიღიმე, პესოტო!

ჯანლუკამ უკვე მნახველები იცნო

ბესოტოს მეგობრების ყურადღება არც ადრე ყოლია და არც ახლა ყოლია

იტალიის ნაკრების ფინალში გასვლამ ჯანლუკა პესოტოს ამბავი კი გადაფარა, მაგრამ „იუვენტუსის“ 35 წლის მენეჯერისა და ფეხბურთელიდან ახლახან წასული პესოტოს მდგომარეობას მაინც არავინ ივიწყებს. „სკუადრა აძურას“ წევრები ხშირად ინტერესდებიან მისი მდგომარეობით და გვერდში უდგანან. მოგეხსენებათ, უკრაინასთან გამარჯვება მარჩელო ლიპის შეგირდებმა მას მიუძღვნეს ისევე, როგორც ალესანდრო დელ პიერომ გერმანიის ნაკრების კარში გატანილი გოლი. გაირკვა ისიც, რომ პესოტომ ამ მატჩს უყურა და გახარებულიც იყო.

ამჯერად პესოტოს მოსანახულებლად „იუვენტუსის“ ყოფილი კაპიტანი ანტონიო კონტე და მადრიდის „რეალში“ წასული ფაბიო კაპელო იყვნენ. ექიმების თქმით, პესოტოს მდგომარეობა სტაბილურია, მაგრამ მის სრულად გამოჯანმრთელებაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. სარეაბილიტაციო პერიოდი, ალბათ, დიდ დროს წაიღებს.

ანტონიო კონტე: „მან მიცნო და ვამილიმა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ცოტა ვიხუმრეთ კიდეც. იტალიის გამარჯვებაზე ველაპარაკე და მან ხელის მოძრაობით მაგრძნობინა, რომ ძალიან გახარებული იყო. ასევე ვუთხარი, რომ სამწვრთნელო კურსი გავიარე და ჩემი, როგორც „იუვენტუსის“ მომავალი მწვრთნელის საქმეში სანახავად დავპატიჟე“.

„იგი გონზე იყო და ძალიან ავღელდი. მიცნო, ხელი ჩამოვართვი და ცოტა ხანს ველაპარაკე კიდეც“ — დასძინა კაპელომ.

ძოკი ძანდელაძე

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XI ტური

ჰაკა — კუოპიო 2:1; ჰიკ — ჰონკა 3:0; მარიეჰამნი — ტურკუ 0:1; ვაასა — მიუპა 3:0

ტამპერე	9	7	1	1	15:7	22
ჰონკა	11	6	2	3	23:16	20
მარიეჰამნი	12	5	4	3	17:12	19
ჰაკა	11	5	3	3	11:7	18
ტურკუ	11	5	2	4	21:16	17
ჰიკ	11	4	3	4	12:11	15
მიუპა	11	4	3	4	11:10	15
ლაჰტი	10	3	3	4	8:13	12
ინტერი	8	3	2	3	8:7	11
ვაასა	9	3	2	4	11:12	11
იარო	9	3	1	5	13:13	10
კტპ	9	2	1	6	7:20	7
კუოპიო	11	1	3	7	7:20	6

რუსეთი

პრემიერლიგა. X ტური

მოსკვა 4:1 შინიკი

1:0 კუზმინი (1), 2:0, 3:0 კირიჩენკო (57, 70პ), 3:1 ბაკოში (72), 4:1 სემაკი (89)

ლუჩ-ენერგია 3:2 კრილია

1:0 ბაზაევი (38), 2:0 სმირნოვი (45), 2:1 ბულიგა (50), 2:2 სკვერნიუკი (59), 3:2 ტიხონოვეცკი (71)

ცსკა 2:0 ტორპედო

1:0 ჟო (7), 2:0 ოლიჩი (65პ)

ლოკომოტივი 0:0 სატურნი

სპარტაკი (ნ) 3:1 როსტოვი

0:1 ბუზნიკინი (4), 1:1 კონცედალოვი (22), 2:1, 3:1 მიჩკოვი (32, 40)

ზენიტი 0:0 დინამო

რუბინი — ტომი

დღეს გაიმართება

სპარტაკი (მ) — ამკარი

დღეს გაიმართება

ცსკა	10	7	1	2	17:6	22
სპარტაკი ნ.	10	5	3	2	15:11	18
რუბინი	9	5	2	2	13:9	17
ტომი	9	5	2	2	10:7	17
ლოკომოტივი	10	4	3	3	19:15	15
კრილია	10	4	3	3	11:10	15
სპარტაკი მ.	9	3	5	1	15:11	14
მოსკვა	10	4	2	4	12:14	14
სატურნი	10	2	7	1	8:4	13
ზენიტი	10	3	4	3	14:15	13
ლუჩ-ენერგია	10	3	2	5	12:14	11
ამკარი	9	2	4	3	5:8	10
როსტოვი	10	2	3	5	10:13	9
დინამო	10	1	4	5	6:10	7
ტორპედო	10	1	4	5	6:14	7
შინიკი	10	1	3	6	4:16	6

ბარსას ერთგული ჟიული

ლუდოვიკ ჟიულიმ „ბარსელონასთან“ ხელშეკრულება გაახანგრძლივა, რომლის თანახმადაც ფრანგი თავდამსხმელი „კამპ ნოუზე“ 2008 წლამდე ითამაშებს. გუშინ ბარსელონაში კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა, ვიცე-პრეზიდენტი ჩიკი ბეგირისტაინი და ჟიულის აგენტი ალან მილიაჩო შეიკრიბნენ, რათა ახალი შეთანხმება გაეფორმებინათ.

„ბედნიერი ვარ, რადგან ამით კლუბმა ნდობა გამომიცხადა. ახლა 2008 წლამდე ვითამაშებ მსოფლიოს საუკეთესო გუნდში“ — აღნიშნა ჟიულიმ, რომელიც მომავალ ორშაბათს 30 წლის ხდება.

„ბარსას“ მერვე ნომერს საკლუბო დონეზე ყველაფერი კარგად გამოსდის (ლეო მესისთან და ახალწვეულ ეიდურ გუდიონსენთან კონკურენციას თუ არ ჩავთვლით). აი, საფრანგეთის ნაკრებში ვერმოხვედრაზე კი ძალიან სწყდება გული. მოგეხსენებათ, ფრანგთა ეროვნული გუნდი 9 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იტალიასთან ითამაშებს და მწვრთნელ რაიმონ დომენეკს რომ წაეყვანა, ვინ იცის, ეგებ „ლუდოსაც“ ებურთავა ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“.

„დომენეკს როცა ენახავ ვეტყვი, პირდაპირ ამიხსნას ნაკრების გარეთ რატომ დამტოვა. თუ კაცია, არ შეშინდება და პასუხს გამცემს“ — ამბობს ჟიული.

ლადო ხომერიკი

სარგებელი ჯაკპოტ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		8 ივლისი						
23:00	416	გერმანია-პორტუგალია	1.75	3.20	4.80	1.13	1.28	1.91
		9 ივლისი						
22:00	417	იტალია-საფრანგეთი	2.55	2.80	2.90	1.33	1.35	1.42
		რუსეთი						
		7 ივლისი						
19:00	845	სპარტაკი-ამკარი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
19:00	846	რუბინი-ტომსკი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		7 ივლისი						
21:00	848	სოენდალი-ბრინი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
		9 ივლისი						
20:00	849	სპარტა-მანგლერუდი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
20:00	850	ტრომსდალენი-კონსვინგერი	2.30	3.30	2.75	1.35	1.25	1.50
20:00	851	ჰუჩსუნდიპორს ვრენლანდი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
20:00	852	ალესუნდი-ბოდოი გლიმტი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
20:00	853	ჰიოდი-ჰიონეფოსი	3.30	3.30	2.00	1.64	1.24	1.24
20:00	854	ლოვ ჰამი-ფოლო	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
20:00	855	მოსი-სტრიომსგოდსეტი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
		შვედეთი. სუპერეტა						
		8 ივლისი						
18:00	856	ატვიდაბერგი-მიალბი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
18:00	857	ბრომაპოიკარნა-ასირისკა	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
18:00	858	დეგერფორსი-უმეა	1.45	4.30	5.50	1.08	1.14	2.41
		10 ივლისი						
21:00	859	ფალკენბერგი-სუნდსვალი	2.20	3.30	2.90	1.31	1.25	1.54
21:00	860	ლიუნგსკილე-ლანდსკრონა	2.60	3.30	2.40	1.45	1.24	1.38
21:00	861	ნორჩიოპინგი-ტრელებორგი	2.25	3.40	2.60	1.35	1.20	1.47
21:00	862	იორებრო-იონკოპინგი	1.35	4.50	7.00	1.03	1.13	2.73
21:00	863	ქვიდინგი-ვესბი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
		ირლანდია						
		7 ივლისი						
22:45	869	ბოჰემიანი-დერი	2.60	3.10	2.40	1.41	1.24	1.35
22:45	870	დროგედა-სტ.პატრიკსი	1.90	3.20	3.45	1.19	1.22	1.66
22:45	873	სლიგო-დუბლინ სიტი	1.90	3.10	3.55	1.17	1.23	1.65
		8 ივლისი						
22:30	872	ლონგფორდი-კორკი	3.60	3.20	1.90	1.69	1.24	1.19
		9 ივლისი						
18:15	874	ბრეი-დუბლინი	2.30	3.10	2.65	1.32	1.23	1.42
		ინტერტოტოს თასი						
		8 ივლისი						
21:00	942	ზრინსკი-მაკაბი ფთ	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
21:30	943	ლოკომოტივი პლ-ფარული	1.90	3.20	3.30	1.19	1.20	1.62
21:00	944	კაისარი-სოპრონი	1.35	3.80	6.50	1.00	1.11	2.39
20:00	945	ლეხი-ტირასპოლი	1.25	4.50	7.60	1.00	1.07	2.82
19:00	948	დინაბურგი-პიბერნიანი	3.30	3.20	1.90	1.62	1.20	1.19
20:00	949	დნიპრო-ნიტრა	1.40	3.70	6.50	1.01	1.15	2.35
19:00	950	კალმარი-ტამპერე	1.50	3.60	5.00	1.05	1.15	2.09
17:00	952	ეთნიკოსი-ოსიეკი	3.35	3.30	1.85	1.66	1.19	1.18
		9 ივლისი						
18:00	940	მტზ რიპო-მოსკოვი	2.85	3.10	2.20	1.48	1.24	1.28
18:00	941	კეფლავიკი-ლილესტრიომი	3.40	3.40	1.80	1.70	1.17	1.17
18:30	951	ტეპლიცე-გრასჰოპერი	1.90	3.20	3.30	1.19	1.20	1.62

გაიხსნა ჯროპოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10416	გერმანია-პორტუგალია	2.10	2.00	5.30	1.02	1.50	1.45
10417	იტალია-საფრანგეთი	2.80	1.90	3.40	1.13	1.53	1.21

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11416	გერმანია-პორტუგალია	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	6.00
11417	იტალია-საფრანგეთი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.50

რამდენი გოლი ბავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12416	გერმანია-პორტუგალია	1.60	2.00
12417	იტალია-საფრანგეთი	1.35	2.40

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

		I-ში	თანბრად	II-ში
15416	გერმანია-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15417	იტალია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16416	გერმანია-პორტუგალია	1.30	2.90
16417	იტალია-საფრანგეთი	1.60	2.10

გოლი:ყველი-10თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ყველად)

17416	გერმანია-პორტუგალია	1.85	1.95
17417	იტალია-საფრანგეთი	1.85	1.95

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13416	გერმანია-პორტუგალია	1.70	1.90
13417	იტალია-საფრანგეთი	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(ცალის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება ანგარიშზე)

14416	გერმანია-პორტუგალია	1.40	2.30
14417	იტალია-საფრანგეთი	1.75	2.00

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ასათიანმა ორ თვეში სამი ქვეყანა შეკრიბა

მალხაზს ტოპიმ შეტევა უთხრა

საქართველოს ნაკრებმა ამას წინათ გერმანულ-ავსტრიული შეკრება რომ მოამთავრა და ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა, კლაუს ტოპმიოლერმა მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველ მალხაზ ასათიანს კლუბში დაბრუნებამდე თავისთან უხმო და საათი-საათნახევარი ცალკე ესაუბრა.

მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ დღემდე მაინტერესებდა, რა ილაპარაკეს ავსტრიის სასტუმროში მწვრთნელმა და ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა. სამწუხაროდ, ავსტრიის მერე ასათიანს ვეღარ შევხვდი და ვერც ხმა მივაწვდინე — დორნბირნიდან ის მოსკოვში გაემგზავრა, ხოლო იქიდან ჯერ იტალიაში ჩავიდა შეკრებაზე, შემდეგ ავსტრიაში გადაინაცვლა და რუსეთს ორიოდ დღის წინ დაბრუნდა — რუსეთის ჩემპიონატში შესვენება რომ იყო, „ლოკომოტივმაც" ამით ისარგებლა და ოცდღიანი უცხოური შეკრება მოიწყო. რუსეთის ჩემპიონატი კი გუშინ განახლდა...

— ამ ზაფხულში, ფაქტობრივად, არ დაგისვენია. ძალიან დაიღალე?

— არც ისე... ჩემი საქმე რაც არის, იმას ვაკეთებ. ზედიზედ სამი შეკრება, ცოტა არ იყოს, დამღლელი კია, მაგრამ გასაკვირიც არაფერი ყოფილა.

— სანაკრებო შეკრების შემდეგ მალევე იტალიაში გაჰყევი „ლოკომოტივს"...

— ნაკრების შეკრება რომ დამთავრდა, მოსკოვში დავბრუნდი და მეორე დღესვე იტალიაში გავემგზავრეთ, სადაც ათი დღე ვიყავით, შემდეგ ავსტრიაში გადავინაცვლეთ და მოსკოვში ახლახან დავბრუნდით.

— საკლუბო შეკრებაზე დიდი დატვირთვები არ იყო?

— არა. ბევრი ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ და მეტწილად ტაქტიკური მეცადინეობები გვქონდა. მგონი, ჩემპიონატს კარგად მომზადებულები ვხვდებით.

— სხვათა შორის, ამას წინათ რუსმა ჟურნალისტებმა „ლოკომოტივის" დაცვის თამაში გააკრიტიკეს, მცველები ძალიან ბევრ შეცდომას უშვებენო...

— ეგ მართალია, მაგრამ, რაც გვამშვიდებს, ისაა, რომ გოლების გატანასაც ვუხშირეთ. „ლოკომოტივს" უგოლო მატჩები იშვიათად თუ აქვს.

— ისე, დაცვის უხეირო თამაში შენი ბრალი არც უნდა იყოს, ტრავმის შემდეგ ფორმა ახლახან აღიდგინე...

— ჩემპიონატში შესვენებამდე სულ რამდენიმე მატჩის ჩატარება მოვასწარი და მაშინ მთლად საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი. ახლა კი ვგრძნობ, რომ უკეთ ვთამაშობ. თანაც ტრავმირებული დმიტრი სენიკოვიც უკვე ათამაშდა და მომავალში დაცვაში შეცდომები ალბათ ნაკლები გვექნება.

— „ლოკომოტივის" წლევანდელი მიზანი ისევ ჩემპიონობაა?

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ წლეულს უფრო მეტი კონკურენტი გეყოლებათ...

— ხუთი-ექვსი გუნდი იბრძვის პირველობისთვის და მართლა ძალიან გაგვიჭირდება — ცეესკა, „სპარტაკი", „ზენიტი", ტორპედო, „რუბინი"... დარწმუნებული ვარ, „დინამოც" ძალიან მოუმატებს და გაცილებით ძლიერად ათამაშდება.

— ავსტრიაში სანაკრებო შეკრების შემდეგ კლაუს ტოპმიოლერთან კარგა ხანს ისაუბრე. თუ საიდუმლო არაა, რა თქვით?

— განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა, სანაკრებო პერსპექტივაზე მესაუბრა, დამაიმედა და ის ტაქტიკური მონახაზი მანახა, რითიც შემდგომ სურს, რომ ვითამაშოთ. მწვრთნელს პირველად მალტის ტურნირზე შევხვდი, მაგრამ ავსტრია-გერმანიის შემდეგ უფრო ახლოს გავიცანი და მასზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩა. თითქმის ყველაფერზე დაწვრილებით ვისაუბრეთ, მეტწილად კი, რა თქმა უნდა, ნაკრების მომავალზე.

— უფრო კონკრეტულად?

— ყველაზე ძალიან ის მესიამოვნა, რომ მას ჩვენი იმედი აქვს და ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩების შემდეგ დიდი პოტენციალი დაინახა.

— ნაკრების მწვრთნელი ხომ არ აპირებს, რომ სათამაშო პოზიცია შეგიცვალოს?

— ამაზეც ვილაპარაკეთ. მწვრთნელი ნაკრებში ჩემს ადგილს იქ ხედავს, სადაც თავად ვხედავ — შემტევ ნახევარმცველად თამაში, ვფიქრობ, უკეთ გამომდის და კლაუს ტოპმიოლერმაც ზუსტად ეს მითხრა.

— ამ მხრივ კლუბში სიახლე არ არის?

— არაფერი. „ლოკომოტივში" ისევ ცენტრალურ მცველად ვითამაშებ.

ძოგა ინასარიძე

ქართველების კიევმა ავსტრიელები მიანგრია

უკრაინელებმა იმედაშვილს რუსთავიც კი გაუხსენეს

ავსტრიულ შეკრებაზე ჩასულმა კიევის „დინამომ" იქაური მეორებუნდესლიგელი „ლუშტენაუ" 6:1 მიანგრია და თავიანთი წილი ამ მოგებაში ქართველებმაც შეიტანეს. დავით იმედაშვილმა და ოთარ მარცვალაძემ სრულად ითამაშეს. „დინამოს" ვებგვერდის ცნობით, ანატოლი დემიანენკოს იმედაშვილი მარცხენა მცველად გაუმწესებია; მარცვალაძე კი — უკანდაწეულ ფორვარდად, ოღონდ ოდნავ მარცხნიდან.

ჩვენიანებს გოლი არ გაუტანიათ, თუმცა მარცვალაძე-ჩერნატ-შაკიხ-ნინკოვიჩის ოთხეულს პირდაპირ დაუტერორებია „ლუშტენაუს" დაცვა. ცნობისთვის: მაქსიმ შაკიხმა პოკერი შეასრულა.

კიეველთა ვებგვერდმა იმედაშვილიც დაახასიათა: „დავითი პატარა ქალაქ რუსთავში დაიბადა და 15 წლისამ ითამაშა იქაურ „გორდაში". საინტერესოა, რომ 80-იან წლებში ამ გუნდში მამამისი, ნუკრი იმედაშვილიც თამაშობდა. 2000 წელს დავითი თენგიზ სულაქველიძის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში გადავიდა, ერთი წლის შემდეგ კი თბილისის „ვიტ ჯორჯიაში" აიყვანეს...

წინა სეზონი იმედაშვილმა ჩინებულად ჩაატარა, საკმაო გოლები გაიტანა, ერთ-ერთი კი ბოლო ტურში, 9 მაისს „ბათუმთან" — ამ მატჩს კიევის „დინამოს" სელექციონერი ვიტალი კოსოვსკი ესწრებოდა. საერთოდ, ამ ფეხბურთელს რეკომენდაცია რევაზ ჩელებაძემ გაუწია. დავითს 10 მატჩი ჩაუტარებია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, ეროვნულ გუნდში კი ჯერ არ მიუწვევიათ, თუმცა ამაზე არც ბრაზობს — მან იცის, რომ ყველაფერი წინ აქვს. შარშან-შარშანწინ იმედაშვილით რუსული „სატურნი" იყო დაინტერესებული, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ‘ტრანსფერი არ შედგა. ახლა კი ქართველს კიევის „დინამოში" დამკვიდრების იმედი აქვს, 15 ივლისამდე ავსტრიულ შეკრებაზე იქნება, რის შემდეგაც ვერდიქტს ანატოლი დემიანენკო გამოიტანს".

ილია ნანოგაშვილი

გახოკიძის ნანატრი მინდორი

ხანგრძლივი უქმობის შემდეგ გოგა გახოკიძე მინდორზე გამოჩნდა — ენსხედეს „ტვენტეს" მარცხენაფლანგელს წელის ქრონიკული ტრავმა ჰქონდა, ფეხსაც იტკივებდა და სამი თვე არ უთამაშია.

გახოკიძემ ინტენსიური ვარჯიში ერთი კვირის წინ დაიწყო, ხოლო გუშინ 46-ე წუთზე ჩაერთო თამაშში — „ტვენტემ" 7:0 გაანადგურა ჰოლანდიის ქვედადივიზიონელი „ჰენგელოსი". გოგას შესვლისას ენსხედელები 4:0-ს იგებდნენ.

ილია ნანოგაშვილი

მეტალისტმა, ორბელაძე არაო

როგორც ჩანს, სერგო ორბელაძეს ხარკოვის „მეტალისტში" დარჩენის არანაირი შანსი აღარ აქვს — თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი ერთი კვირის წინ ჩავიდა „მეტალისტში" და დონეცკის „მეტალურგთან" საკონტროლო მატჩი სრულად ჩაატარა, თუმცა ხარკოველთა თავკაც მირონ მარკევიჩს თავი ვერ მოაწონა.

„სიმართლე გითხრათ, ორბელაძის ადგილს გუნდში ვერ ვხედავ. ის ალბათ მალე დატოვებს „მეტალისტს" — განაცხადა მარკევიჩმა.

ასეც არ იყოს, ხარკოველები სერიოზულად გაძლიერებას აპირებენ და ორბელაძის პოზიციაზე, ანუ ცენტრალურ მცველად, ერთი უკრაინელი და ერთიც სერბი ლეგიონერი მიიწვიეს.

ილია ნანოგაშვილი

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან- клუბში გასანევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: .....

გვარი: .....

დაბადების თარიღი: .....

ტელეფონი: .....

ელ-ფოსტა: .....

სარბიელი

საინფორმაციო მხარდაჭერა





ვ.ბურაევ დოლიძეების ფოტო

ეროვნულს ჯიხურები შორდება!

გოგი ძავთარაძე: მთავარია მინდორი, დანარჩენი წესრიგშია

ვ.ბურაევ დოლიძეების ფოტო

არ ვიცით, ვის როგორ ხვდებოდა თვალში, მაგრამ ჩვენი აზრით, ეროვნულ სტადიონს სიგარეტის კოლოფებივით ჩაწყობილი ჯიხურები ნაღდად არ უხდებოდა. და აი, სტადიონის ტერიტორიიდან მაღაზიების და ჯიხურების გატანა დაიწყო. ეს გარეთ, ხოლო თუ როგორ მიდის სამუშაოები თავად მოედანზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ძავთარაძეს ვკითხეთ...

— ახლა ყველაზე აქტუალური მინდვრის საფარის ჩამოტანაა. ჰოლანდიიდან და გერმანიიდან ფიზიკურად ვერ ესწრება, ტრანსპორტირების პრობლემაა. რა კომპანიებსაც დავუკავშირდით, ყველამ გვითხრა, 2 სექტემბრამდე საფარის ჩატანას და დაგებას ვერ მოასწრებთო.

— ახლა რომელი ქვეყნის კომპანიებთან მიდის მოლაპარაკება?

— თურქულ კომპანიასთან, ოღონდ მანამდე უნდა მოველაპარაკოთ სტადიონის თანამშრომლებს.

— თურქული საფარი შედარებით დაბალი ხარისხისაა?

— არანაირად. რაც თურქეთშია სტადიონებზე, იგივე იქნება აქაც. მთავარია, ტექნიკურად როგორ შესრულდება საფარის დაგება.

— შეგიძლიათ თქვათ, რომ სტადიონის მშენებლობა გეგმაზომიერად მიმდინარეობს და 2 სექტემბრამდე ყველაფერი წესრიგში იქნება?

— დიახ. ახლა სწორედ მინდვრის საფარია აქტუალური, დანარჩენი კი ყველაფერი სტანდარტულად კეთდება. მათ შორის, განათება, სკამები...

— სანაკრებო ამბებზეც გკითხავთ: კიდევ ხომ არ აპირებთ ამხანაგური მატჩისთვის სპარინგ-მეტოქის მოძიებას?

— ამხანაგური მატჩების თაობაზე ახალი ისაა, რომ ამ დღეებში ველით საბოლოო დასტურს ურუგვაელებისგან. როგორც იცით, საქართველო — ურუგვაი 15 ნოემბერს უნდა გაიმართოს თბილისში და მათ საბოლოოდ უნდა გვაცნობონ, ჩამოვლენ თუ არა.

ილია ნანოგაჯვილი

ევროსიონი 2006

ბოლნისის „სიონმა“ უეფაში უკვე გააგზავნა განაცხადი. თუ „სიონი“ აზერბაიჯანული „ბაკის“ ბარიერს გადალახავს, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბულგარულ „ლევსკის“ დაუპირისპირდება და იმ სამი კამერუნელი ახალწვეულის საუეფო განაცხადში შეყვანასაც მოასწრებს, რომლებიც სატრანსფერო ფურცლების დროულად ვერმიღების გამო ჯერ ვერ შეიყვანა საევროფრონტო განაცხადში.

„ბაკისთან“ მატჩისთვის კი „სიონის“ განკარგულებაში ეს ფეხბურთელები იქნებიან:

მეკარეები: ზურაბ ბათიაშვილი, მინდია ბობღიაშვილი, ნიკა გავაშელი;

მცველები: ლაშა ჭელიძე, თემურ რაქვიაშვილი, მიხეილ კობური, გიორგი ოქროპირიძე, დავით ჭიჭვეიშვილი, დავით სვანიძე, მურმან ქურასბედიანი;

ნახევარმცველები: ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან ბაჯელიძე, გიორგი კვიტაშვილი, გიორგი ქუცურუა, თორნიკე ტაბატაძე, ზაზა ჭელიძე, ლევან შავგულიძე, არჩილ ალავიძე;

თავდამსხმელები: ბესიკ ქარდავა, კოკა მიკუჩაძე, ბაჩო ცხადაძე.

ამერის ევროგანაცხადი

საქართველოს თასის მფლობელმა თბილისის „ამერმა“ საუეფასთასო განაცხადი გააგზავნა ევროპული ფეხბურთის შტაბბინაში.

აი, რომელ ფეხბურთელებს დაეყრდნობა გიორგი ჩიხრაძე სომხურ „ბანანცთან“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში:

მეკარეები: 1. ლადო ნადირაშვილი, 16. ზურაბ ქვაჩახია, 33. ლევან ბუბუტეიშვილი;

მცველები: 2. ამირან კედელაშვილი, 3. ზურაბ გვაძაბია, 4. გიორგი ელბაქიძე, 5. გიორგი დავითნიძე, 24. ვახტანგ ხვადაგიანი, 32. თენგიზ ჩიკვილაძე;

ნახევარმცველები: 6. დავით მჭედლიშვილი, 8. გიორგი ნიკოლაიშვილი, 10. გიორგი დეკანოსიძე, 13. იური გაბისკირია, 14. გიზო ჯელაძე, 15. ჯაბა ბერიანიძე, 17. დავით ბოლქვაძე, 22. გრიგოლ დოლიძე, 23. დენის დობროვოლსკი, 28. გიორგი სილაგავა;

თავდამსხმელები: 7. სულიკო დავითაშვილი, 9. ბესიკ ჩიმაკაძე, 11. რატი წინამძღვრიშვილი, 18. დიმიტრი ტატანაშვილი, 20. დავით სევასტოპულო.

მოვრევა სიონი 5-6 მილიონს?

მომავალ კვირას ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპების მატჩებია. საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ 13 ივლისს აზერბაიჯანის ჩემპიონ „ბაკის“ უმასპინძლებს თბილისში. „ბაკის“ თაობაზე ინფორმაცია ევროტურნირების წილისყრის შემდეგ მყის მოგაწოდეთ, ახლა კი აზერბაიჯანელი კოლეგისგან მოწოდებულ წერილს გთავაზობთ...

„ბაკის“ საინტერესო ისტორია აქვს. გუნდი 1996-97 წლების სეზონიდან თამაშობს აზერბაიჯანის უმაღლეს ლიგაში — მაშინ გუნდს „პოლის აკადემისი“ ერქვა. მომდევნო სეზონიდან „პოლის აკადემისი“ „გართალ 95“-თან გაერთიანდა და გუნდს „დინამო“ დაერქვა. 1997-98 წლების სეზონში „დინამო“ აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ევროპული დებიუტი წარუმატებელი გამოდგა — რუმინულ „არჯეშთან“ ბაქოელებმა ორივე მატჩი წააგეს — 1:5 და 0:2.

მომდევნო წლებში „ბაკი“ აზერბაიჯანში საშუალო დონის გუნდი იყო, კლუბის და გუნდის წინსვლა კი მაშინ დაიწყო, როცა „ბაკიში“ ჰაფიზ მამედოვი მივიდა — ის ახლა კლუბის პრეზიდენტია.

მამედოვი არის ჰოლდინგ „ბაგლან-გრუპის“ მეპატრონე. ეს ჰოლდინგია „ბაკის“ სპონსორი. „ბაგლან-გრუპი“ ნავთობის ბიზნესში საქმიანობს, თუმც მასვე ეკუთვნის სასტუმრო „დელფინი“, ოლიმპიური კომპლექსი ქუბაში და კიდევ სხვა რამდენიმე ობიექტი. „ბაკის“ წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 5-6 მილიონი დოლარია.

„ბაკის“ ბოიუკაგა გაჯიევი წვრთნის. ის არცთუ სახელგანთქმული მწვრთნელია. მანამდე გაჯიევი ირანში მუშაობდა, „ბაკიში“ კი შარშან ზაფხულს მივიდა და კლუბის პრეზიდენტის მრჩეველი გახდა. როცა აზერბაიჯანის წინა ჩემპიონატის დასრულებას რვა ტური აკლდა, „ბაკის“ საჩემპიონო შანსები არცთუ დიდი იყო და კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის გაწვრთნა გაჯიევს მიანდო. მისი ხელმძღვანელობით „ბაკიმ“ რვავე თამაში მოიგო, გაიტანა 15 გოლი და არც ერთი არ გაუშვა, „ბაკის“ კონკურენტებმა („ინტერი“, „ნეფთჩი“ და „ქარვანი“) კი ქულები დაკარგეს და „ბაკი“ პირველად გახდა აზერბაიჯანის ჩემპიონი.

2004-05 წლების სეზონში „ბაკიმ“ აზერბაიჯანის თასი მოიგო. უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკურ „ჟილინას“ შინ 1:0 მოუგო, საპასუხო მატჩში კი 1:3 დაამარცხა — როცა ანგარიში 1:2 იყო, მესამე გოლი 85-ე წუთზე გაუშვა და ტურნირს გამოეთიშა.

ჰაფიზ მამედოვი

„ბაკი“ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ გუნდის გამორჩეული თვისება დაცვაში საიმედო თამაშია. საჩემპიონო 2005-06 წლების ჩემპიონატში „ბაკიში“ ყველაზე მეტი, 26 მატჩი ალექსანდრე გოგობერიშვილმა ითამაშა და 3 გოლი გაიტანა, გუნდის ბომბარდირი კი 8 გოლით ლეანდრო გომეში გახდა.

სეზონის დასრულების შემდეგ „ბაკიდან“ ათი ფეხბურთელი წავიდა, ახალწვეულები კი ესენი არიან: გვინეელი ფორვარდი პატე ბანგურა (მანამდე თამაშობდა სუმგაითის „გენჩლერბირლიგში“), ფორვარდი გიორგი მეგრელაძე („დინამო“ თბილისი), სერბი ნახევარმცველი დარკო იოვანდიჩი („ბუდუჩნოსტი“), რუმინელი ნახევარმცველი მიხაი იონესკუ („შერიფი“, მოლდოვა), მცველი ვუგარ კულიევი (ბაქოს „ოლიმპიკი“), ნახევარმცველი თარლან ხალილოვი (სუმგაითის „გენჩლერბირლიგი“) — ეს ფეხბურთელები „ბაკიმ“ შეიძინა, ხოლო მეკარე სალიოუ დიალო იჯარით აიყვანა „გენჩლერბირლიგიდან“.

„ბაკი“ ახალი სეზონისთვის მზადებას 15 ივნისს შეუდგა, რამდენიმე დღე დაყო ბაქოში და მერე ერთი კვირით ქუბას ოლიმპიურ კომპლექსში იყო შეკრებაზე, სადაც საკონტროლო მატჩები არ გაუმართავს. 1 ივლისიდან „ბაკი“ სასტუმრო „დელფინში“ დაბინავდა. რამდენიმე დღის წინ კი საკონტროლო მატჩი ითამაშა აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „სიმურგთან“ და 4:0 მოიგო. გოლები ბანგურამ, აბასოვმა, აბდულაევმა და იონესკუმ გაიტანეს.

„ბაკიმ“ უკვე გაგზავნა უეფაში ფეხბურთელთა განაცხადი და მათ მუდმივი ნომრებიც ჩამოურიგა.

მაჰირ რუსთამლი

„ფუტბოლ+“, საგანგებოდ „სარბიელისთვის“

მეკარეები: 23. ხალიდ სისოკო (სენეგალი), 25. ირხან მირზოევი, 1. სალიოუ დიალო (გვინეა);

მცველები: 21. რაილ მელიკოვი, 7. რამონ გულიევი, 3. რაფაელ ამირბეკოვი, 18. ასიფ აბასოვი, 8. ვუგარ გულიევი, 2. ანდრე ლადაგა (ბრაზილია);

ნახევარმცველები: 6. ელნურ აბდულაევი, 10. ჯეიხუნ სულთანოვი, 14. ალექსანდრე გოგობერიშვილი (საქართველო), 17. რამაზან აბასოვი, 11. თარლან ხალილოვი, 19. დარკო იოვანდიჩი (სერბეთი), 20. მიხაი იონესკუ (რუმინეთი);

თავდამსხმელები: 22. პატე ბანგურა (გვინეა), 9. გიორგი მეგრელაძე (საქართველო), 16. ფარიდ გულიევი, 77. ემინ ამირასლანოვი, 55. ლენდრო გომეში (ბრაზილია).

შეხედეს, შეაფასეს, გაუშვეს



„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა“ გაუშვა ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილი — ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ნბა-ს ოფიციალურმა ვებ-გვერდმა NBA.COM-მა და კიდევ რამდენიმე ამერიკულმა საინფორმაციო საშუალებამ.

ცქიტიშვილი 1 ივლისს გაუშვა „ფინიქს სანზმა“ და მიუხედავად იმისა, რომ ის რამდენიმე საათში ახალმა გუნდმა აიყვანა, 5 ივლისს ნიკას უკვე იმ გუნდთანაც მოუწია განშორება, რომელშიც წუთითაც არ უთამაშია. 23 წლის ქართველი ფორვარდის მოკვეთის ოფიციალური მიზეზი არ გახმაურებულა. სავარაუდოდ კი, „პორტლენდმა“ უბრალოდ არ ისურვა იმ მოთამაშის დამატება, რომელმაც ნბა-ში ყოფნის 4 წლის განმავლობაში ოთხი გუნდის („დენვერი“, „გოლდენ სტეიტი“, „მინესოტა“, „ფინიქსი“) გამოცვლა მოასწრო, მაგრამ ფეხი მყარად ვერსად მოიკიდა. ცქიტიშვილისთვის ყველაზე წარმატებული გამოდგა „დენვერში“ გატარებული პირველი სეზონი — აქ მან 82-დან 81 თამაშში საშუალოდ 16,3 წუთი ითამაშა, 16 შეხვედრა სასტარტო ხუთეულშიც დაიწყო. მაგრამ შემდეგ 3 სეზონში 246 შესაძლო თამაშიდან მხოლოდ 91-ში (არც ერთ ხუთეულში) და ისიც საშუალოდ დაახლოებით 7 წუთით მიიღო მონაწილეობა.

რამდენიმე დღის წინ მისი აყვანისას „პორტლენდის“ თავკაცი ნეიტ მაკმილანი ამბობდა — ამ საქმით არაფერს ვკარგავთ, ცქიტიშვილზე ბევრი სპეციალისტი დადებითი აზრისაა, ჩვენც შევხედავთო.

შეხედეს, შეაფასეს, გაუშვეს.

— „პორტლენდის“ შემოთავაზება თავად არ მომეწონა. მიჯობს, ორი-სამი დღე მოვიცადო, რადგან მერე თავისუფალი აგენტი ვხდები და სასურველ კლუბს სასურველი პირობებით უფრო იოლად შევარჩევ. შემოთავაზებები მაქვს და უგუნდოდ დარჩენის არ მეშინია — გვითხრა გუშინ ნიკა ცქიტიშვილმა, აღნიშნულთან დაკავშირებით ამერიკაში რომ შევხვდიანეთ.

კოტე ყორშია

ჟორჟი, იგივე გია

ქართველ ბრაზილიელებს ბრაზილიური დამამართათ

ქართულპასპორტიანი ბრაზილიელები, რენატო და ჟორჟი, იგივე გეორ და გია, ევროპულ ქვიშებში ფრენბურთობას განაგრძობენ და მსოფლიო თასის ეტაპებზე ქვეყნიდან ქვეყანაში დადიან. გუშინ ჩვენებმა მარსელის ქვიშნარში ჩაფლეს ფეხი და იქაურ ეტაპზე პირველი დღეც ჩაათამაშეს.

გეორ-გიამ მარსელური ფერნბურთობა კარგად დაიწყო. რაკი რეიტინგში სამასეულზე მეტი ქულა მოუგროვდათ, თამაშში საკვალიფიკაციო ეტაპიდან კი არა, პირდაპირ ძირითად ბადეში ჩაებნენ. მარსელში ჩვენები მე-20 ნომრად არიან განთესილები, პირველ მატჩში კი მე-13 ნომრებს, ათენის ოლიმპიადაგამოვლილ კანადელებს ჰიის და ვან ჰუიზენს მოუგეს 2:1. სამწუხაროდ, მეორე მატჩში ჩვენებს ბრაზილიელები, ფრანკო და კუნია გადაეყარნენ და ერთ საათში დაამარცხეს გაქართველებული თანამემამულეები — 2:0. პლაჟის ფრენბურთში ისეა, რომ ძირითად ბადეში ერთი წაგება გეპატიება და ჩვენებიც საპრიზოებისთვის ბრძოლას დღეს გაგრძელებენ.

ფედერაციის თასმა ასაკი არ იცის

დღეს და ხვალ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ტანვარჯიშის დარბაზში მხატვრულად ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი „ფედერაციის თასი“ გაიმართება. საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრში საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას. დღეს მედლები მრავალჭიდში გათამაშდება, ხვალ — ცალკეულ სახეობებში.

„ტურნირში სამი ასაკობრივი ჯგუფის ტანმოვარჯიშეები გამოვლენ — გვითხრა გუშინ ფედერაციის პრეზიდენტმა ნელი სალაძემ — პატარები (12 წლამდე), იუნიორები (13-15 წლის) და უფროსები (16 წლიდან). წინასწარი მოლაპარაკებით, სტუმრებს თითო ასაკობრივ ჯგუფში თითო სპორტსმენი უნდა ჩამოეყვანათ, მაგრამ გეგმები ცოტა შეიცვალა. აზერბაიჯანელებს 4 ტანმოვარჯიშე ეყოლებათ, სომხებს და უკრაინელებს — 3-3, რუსებს — 2. ჩვენ კი 10-მდე ბავშვს და უფროსს გამოვიყვანთ. „ფედერაციის თასს“ მეორედ ვათამაშებთ. გვინდოდა, ტურნირი სექტემბერში ჩაგვეტარებინა, მაგრამ გადატვირთული გრაფიკის გამო ივლისისთვის გადმოვიტანეთ. შემოდგომაზე მსოფლიოს ორი გრანპრი ჩატარდება და იმედია, საუკეთესო ქართველ ტანმოვარჯიშეებს ამჯერად მაინც მიეცემათ იქ გამოსვლის შესაძლებლობა“.

ოთარ მაღლაკელიძე

სტუდენტთა მე-18 მსოფლიოს ჩემპიონატი
გდანსკი. პოლონეთი
საქართველო — ხორვატია 37:28

მეორე მოგება და ფინალის იმედი

სერგო დათუკაშვილი (№9) და რევაზ ჭანტურია ბურთისთვის ბრძოლაში

ხორვატების ნაკრები თავიდან ფავორიტთა შორის კი ითვლებოდა, მაგრამ გდანსკში უძლიერესი შემადგენლობით ვერ ჩავიდა. ასე რომ, საწყის სამ თამაშში მათი მარცხი დიდად მოულოდნელი არ ყოფილა.

თუმც ხორვატმა ხელბურთელებმა მესამე ტურში მანამდე ქართველთა მძლეველ უნგრელებთან ბრჭყალები გამოაჩინეს და მხოლოდ მინიმალური სხვაობით დათმეს ბრძოლა — 31:32.

ცხადია, ეს ჩვენებისთვის საფრთხილო ნიშანი გახდა, მაგრამ მერაბ მეტრევლის ბიჭებმა მეტოქეს წუხელ წარმატების მინიმალური შანსიც არ დაუტოვეს და ზედიზედ მეორე დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმეს.

გუშინვე უნგრეთმა მასპინძელ პოლონეთს აჯობა — 26:24, ხოლო ჩეხების მიერ მანამდე უდანაკარგოდ მოთამაშე იაპონელთა ძლევის (37:34) შემდეგ ჯგუფში ვითარება ისე შეიცვალა, რომ ხვალ ამომავალი მზის ქვეყნელთა ძლევის შემთხვევაში, ქართველი ხელბურთელები იქნებ საჩემპიონო ფინალშიც გავიდნენ.

A ჯგუფში კი ოთხივე თამაშის მოგებით რუსი სტუდენტები ლიდერობენ.

გია ახალაძე

B ჯგუფი

იაპონია	3	0	1	+11	6
უნგრეთი	3	0	1	-1	6
საქართველო	2	1	1	+10	5
ჩეხეთი	2	0	2	+2	4
პოლონეთი	1	1	2	+1	3
ხორვატია	0	0	4	-23	0

მონტოია ისევ უილიამსში?

იტალიური „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, კოლუმბიელი მეფორმულე ხუან-პაბლო მონტოია გაისად „უილიამსში“ ირბოლებს.

„კოლუმბიელი ქარიშხლის“ დებიუტი „სამეფო რბოლებში“ სწორედ სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოში შედგა 2001 წელს. სამი სეზონის შემდეგ, ბოსობასთან უთანხმოების გამო, ხუანი „მაკლარენში“ გადაბარგდა. ბოლო დროს იქაც აერია საქმეები — 30 წლის მძღოლი მიმდინარე ჩემპიონატში თითო მეორე და მესამე ადგილებით საერთო ჩათვლაში ათი ეტაპის შემდეგ მხოლოდ მეხუთეა.

თანაც კარგა ხნის გადაწყვეტილი ამბავია, რომ 2007 წელს „მაკლარენ-მერსედესში“ ესპანელი ფერნანდო ალონსო იჯირითებს.

ანტიხუანური ხმები უფრო გაძლიერა გასულ კვირას ინდიანაპოლისში, აშშ-ის დიდი პრიზისთვის რბოლისას მისმა ავარიამ, როცა პირველივე წრეზე ისე მიახეთქა მანქანა თანამკელ კიმი რაიკონენს, რომ ორივენი ბრძოლას გამოეთიშნენ.

„ვერცხლისფერი ისრების“ ხელმძღვანელები კი აცხადებენ, მონტოიას მიმართ სანქციებს არ მივიღებთო, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არსებობს?

იტალიელ მეგაზეთეთა განცხადების საპირისპიროდ, „უილიამსი“ თითქოსდა უკმაყოფილო არაა წლევანდელი მძღოლების — მარკ ვებერისა და ნიკო როსბერგის მუშაობით და მათ შეცვლას არ აპირებს.

თავად სერ ფრენკმა ბუნდოვანი კომენტარი გააკეთა: „ვიცი, რომ პრესა კარგა ხანია ლაპარაკობს მონტოიას ჩვენთან დაბრუნებაზე, მაგრამ გადაწყვეტილი არაფერია. თუმც დარწმუნებული ვართ, რომ იგი ჩინებული პილოტია.“

დაველოდოთ, მალე ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

გია ახალაძე

ლაბაძე ბალახზე აუგს აღარ იტყვის

სეზონის მიზანი: 60 და პოლონეთი

უიმბლდონზე რიგიანად თამაშის შემდეგ ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე ავსტრიაში დაბრუნდა და მომავალი ტურნირებისთვის იქ ემზადება. ზუსტად ორი წლის წინ, 2004 წლის 5 ივლისს ირაკლის ATP-ის კლასიფიკაციაში მისთვის უმაღლესი, 42-ე პოზიცია ეკავა, მაგრამ ტრავმიანობამ და ამით გამოწვეულმა წარუმატებელმა თამაშმა გვარიანად, სადღაც მეორე ასეულის ბოლოსკენ ჩამოაქვეითა და ბევრმა ხელიც ჩაიქნია, ასეულსაც ვეღარ დაუბრუნდებაო. სლემური მერვედფინალით ირაკლიმ პესიმისტები ჩააწყნარა და ახლა ახალ რეიტინგსიას ელოდება — წლის ბოლომდე სამოცეულში შესვლაზე ფიქრობს. წლევანდელი უიმბლდონისა და სამომავლო გეგმების შესახებ ლაბაძე გუშინ ტელეფონით გვესაუბრა



AFP

— დიდი სლემის ტურნირებზე აქამდე მეორე წრეზე წინ ვერასოდეს მივდიოდი და უიმბლდონური შედეგით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით სასიხარულოა, როცა ასეთ შედეგს უილბლო პერიოდის შემდეგ აღწევ. ბოლო ორ წელს ვგულისხმობ. ხანგრძლივმა ტრავმებმა ფიზიკურად ხომ იმოქმედა, ფსიქოლოგიურადაც ცუდ დღეში ჩამაყენა.

— უიმბლდონზე დაბრუნდი და ზედიზედ ექვსი თამაში მოიგე. გეგმავდი ასე წინ წასვლას?

— მსგავს შედეგს, კი, სიმართლე გითხრათ, 1-2 თვის მერე კი ველოდი. უიმბლდონის დაწყებამდე დაახლოებით ორი კვირა წელის ტრავმამ გამაცდენინა. ისე მოხდა, ვარჯიშის განახლების მაგივრად პირდაპირ კორტზე მომიხდა შესვლა. ამიტომაც იყო, რომ პირველ თამაშში ძალიან გამიჭირდა. მერე და მერე ნელ-ნელა ავთამაშდი და საკვალიფიკაციო ეტაპი და ძირითადის სამი წრეც გავიარე.

— ძირითად ბადეში პეიას, გაუდიოს და ფიშს მოუგე. მაინც რომელი იყო ყველაზე უხერხული მეტოქე?

— ტიტულებით თუ ვიმსჯელებთ, გაუდიო, მაგრამ ბალახზე მაინცდამაინც არ უყვარს თამაში. სამ სეტში დავამარცხე და მესამეში აღარც კი იბრძოდა. ყველაზე მეტად პეიასთან გამიჭირდა, თუმცა ამ შეხვედრაზე უფრო მძიმე საკვალიფიკაციოს ბოლო წრე გამოდგა დანიელ კენეტ კარლსენთან.

— ფიშთან ერთი სეტი მოიგე და მეტოქემ ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა. ეს რომ არა, შეძლებდა მოსაგებად ბრძოლას?

— ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე გაირკვა, რომ მუცელი აწუხებდა, მაგრამ კორტზე გასვლა მაინც გადაწყვიტა. თამაშის შემდეგ მისმა მწვრთნელმა გულახდილად მითხრა, პირველი სეტი ცოტა ცუდად რომ გეთამაშა, ბრძოლას არაფრით არ შევწყვეტდითო. მართლაც ისე ვითამაშე, შანსი არ ჰქონდა.

— შენ თუ შეგეძლო შემდეგ ეტაპზე ნადალთან მოგება?

— უკეთ თამაში ნამდვილად შემეძლო, მაგრამ არ გამომივიდა. პირველ სეტში ერთი ბრეიკი ამიღო და ამით მოიგო. მეორეს ბედი კი მსაჯის შეცდომამ გადაწყვიტა. ტაიბრეიკზე, მაშინ, როცა 4:3-ს ვიგებდი, ნადალს აშკარა აუტი ჩაუთვალეს. მსაჯის ეს შეცდომა მოგვიანებით კომპიუტერმაც დააფიქსირა. ის გათამაშება სამართლიანად რომ დასრულებულიყო, ალბათ, სეტსაც აღარ წავაგებდი. მერე კი ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა.

— მოგების შემდეგ ნადალმა თქვა, დღეს ჩემი საუკეთესო თამაში ვაჩვენე და ამაზე უკეთ ნამდვილად კი არ შემეძლოო...

— ფანტასტიკურად ითამაშა. ამასთან, იღბალიც მის მხარეს იყო. ისეთი ბურთები ჩააგდო...

— ისევ ნადალის ნათქვამი — ლაბაძე კორტზე ძალიან მხიარული იყო, ბევრს ხუმრობდა და, ალბათ, ამით ჩემი წყობილებიდან გამოყვანა უნდოდაო.

— სასაცილოა. მე კორტზე ყოველთვის კარგ ხასიათზე გავდივარ და ვცდილობ თამაშისგან სიამოვნება მივიღო. არ მესმის იმ ჩოგბურთელების, ვიდრე გაიღიმებენ, იმაზე რომ ფიქრობენ, გაიღიმონ თუ არა.

— ადრე ამბობდი, ბალახის საფარზე თამაში არ გამომდისო. ისევ ამ აზრზე რჩები?

— ამ უიმბლდონის შემდეგ მაგას აღარ ვიტყვი. საერთოდ კი ცოტა ძნელია იმის თქმა, ბალახის მოთამაშე ვარო. სეზონის განმავლობაში ხომ სულ 3-4 ტურნირი იმართება.

— ახლა ჰარდის დროა. როდის გადაერთვები მაგარსაფარზე?

— ჯერ ბალახის ჩელენჯერები კიდევ დარჩა და მინდა, მათზეც ვითამაშო. მერე ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

— რას ფიქრობ, უიმბლდონის მერვედფინალი კლასიფიკაციაში რომელ ადგილამდე აგწევს?

— ალბათ, 130-ში შევალ, მაგრამ ეს ქულები ისეთი მყარია, უახლოესი 10 თვე რომ არ ვითამაშო, დაბლა აღარ ჩამოვალ. უფრო ზემოთ ასვლა კი ჩემზეა დამოკიდებული.

— ამერიკის ღია პირველობის ძირითად ბადეში მოხვედრას თუ მოახერხებ?

— მეეჭვება. ძალიან რომ მოვინდომო და ტურნირი ტურნირზე ვითამაშო, შეიძლება მოვახერხო კიდეც, მაგრამ ცოტა სარისკო საქმეა. იძულებითი შესვენების შემდეგ უცებ ამხელა დატვირთვებმა მომიწია. ერთეულებში თამაშის პარალელურად წყვილებშიც გვარიანად დავიღალე, იქაც საკვალიფიკაციო ეტაპით დავიწყე და ძირითადში ორი წრე გავიარე. მძიმე ბრძოლების გადატანა მომიხდა. ცოტა ხნით რომ არ შევჩერდე და ასეთივე ტემპით გავაგრძელო, შეიძლება, ტრავმა გავიმიზეზო. ასე რომ, მირჩევნია, ნელ-ნელა, გეგმაზომიერად მივყვე და წლის ბოლოს კლასიფიკაციაში 60-მდე ავიწიო. ხოლო როცა 50-ში შევალ, მაშინღა ჩავთვლი, რომ ყველა პრობლემას ვძლიე და დავბრუნდი.

— ისევ უიმბლდონს მივუბრუნდეთ. შენი პროგნოზი გვაინტერესებს.

— რა გამოცნობა უნდა, ფედერერი მოიგებს.

— ქალებში?

— ქალებს რას გაუგებ. ისე, თუ დამიჯერებ, ქალების არც ერთი თამაშის არც ერთი გათამაშებისთვის არ მიყურებია. მთავარი ფავორიტი ალბათ მაინც ენენ-არდენია.

— ავსტრიაში რამდენ ხანს დარჩები?

— ერთი კვირა. ამ კვირაში ცოტა დავისვენებ. უიმბლდონსაც დავიწყებ და ახალი შემართებით შევუდგები ვარჯიშს. უახლოესი ტურნირი კი დევისის თასი იქნება. 21-23 ივლისს პოლონეთში ვთამაშობთ.

— შეუძლია საქართველოს ნაკრებს, პოლონეთის მისსავე კორტზე დამარცხება?

— თავს არ დავზოგავ ჩემი ორი ქულის ასაღებად. დანარჩენი ლადო ჩიხლაძეზეა დამოკიდებული. თუ ისეთივე ფორმაშია, სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრისას რომ იყო, მაშინ უნდა მოვიგოთ, მაგრამ ზედმეტი თავდაჯერებულობაც არ გვარგებს.

— გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, ალბათ, თბილისში ჩამოსვლას ჯერ ვერ მოახერხებ,

— ძალიან მინდა, დევისის თასის შემდეგ ორი დღით მაინც ჩამოვიდე, ვნახოთ.

ოთარ გაღლაკელიძე



გადარი კვიციანაძის ფოტო

მაკამ მეოთხედფინალში გაივაკა

გურამ დოლენჯავაშვილის ფოტო

ფრანგული მაუნ დე მარსანის თიხაზე **ITF**-ის (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) ეგიდით ქალთა 25 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირი მიმდინარეობს. და მე-4 ნომრად განთესილმა მაკა ჩახნაშვილმა, უკვე ორი მეტოქე დაამარცხა და მეოთხედფინალს უწია.

23 წლისა და **WTA**-ს კლასიფიკაციაში 243-ე ადგილზე მყოფმა ქართველმა პირველ წრეში რეიტინგის 298-ე საფეხურზე მყოფ ესპანელ პაულა გარსიას მოუგო 6:2 7:5, ხოლო შემდეგ, ასევე ორ სეტში 6:4 6:4 აჯობა ფრანგ ამანდინა დულონს. მეოთხედფინალში მაკას მეტოქე ავსტრალიელი ტრუდი მასგრეივი იქნება, ვინც კდასიფიკაციაში 444 პოზიციაზეა და მეოთხედფინალში მე-7 ნომრად განთესილი სერბის დანიცა კრსტაჟიჩის ტრავმის წყალობით გავიდა.

თუ მასგრეივსაც მოუგებს, ნახევარფინალში ჩახნაშვილს გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლება — ან მეორე ნომრად განთესილი ფრანგი პაულინა პარმენტიე, ანაც ტურნირის მეხუთე ნომერი, რუსი ნინა ბრატნიკოვა.

ამ კვირაში **ITF**-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე კიდევ ორი ჩვენებური ცდიდა ბედს. სოფო მელიქიშვილი და სალომე დევიძე ამერიკული კოლეჯ პარკის ჰარდზე მიმდინარე 75-ათასიან შეჯიბრში თამაშობდნენ, თუმცა ქართველებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. 20 წლის დევიძემ, ვინც რეიტინგში 491-ე ადგილზეა, კვალიფიკაციის პირველ წრეში 6:1 6:0 კი მოუგო ამერიკელ ემი ჯილინგემს, მაგრამ შემდეგ თავადვე უშანსოდ 1:6 2:6 წააგო მეორე მასპინძელთან ამანდა ფინკთან და ძირითად ბადეს ვერ უწია. რაც შეეხება 19 წლისა და რეიტინგის 262-ე საფეხურზე მყოფ მელიქიშვილს, ის თავიდანვე ძირითად ბადეში იყო, მაგრამ პირველივე წრეში მე-4 ნომრად განთესილ რუმინელთან, კლასიფიკაციაში 138-ე ადგილზე მყოფ ანდა პერიანუსთან მოუწია დაპირისპირება და შანსი არ ჰქონია — 6:0 6:4 რუმინელის სასარგებლოდ.

გია მუჯირი

უიმბლდონი 2006. ბალახი. საპრიზო 10 378 710 £

AFP ლონდონიდან

ამელი მორესმო პირველ უიმბლდონურ ფინალს ითამაშებს

ამელიმ მაშა ნაშალა

ფედერერი უკვე ნანახს ნახავს

6 ივლისი

კაცები

მეოთხედფინალი

რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — **იარკო ნიემინენი** (22, ფინეთი) 6:3 6:4 6:4

ქალები

ნახევარფინალი

ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — **კიმ კლაისტერის** (3, ბელგია) 6:4 7:6; **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) 6:3 3:6 6:2

რაც არ უნდა მოხდეს და როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, უიმბლდონის ფინალში წლეულს უკვე ნანახის და თითქოს ჩავლილის გამეორებას ვნახავთ. კვირას, ან ავსტრალიის ღია პირველობის, ან კიდევ „როლან გაროსის“ ფინალი ხელმეორედ დაიდგმება. რომელი, ეს უკვე მარკოს ბაღდატისისა და რაფაელ ნადელის ნახევარფინალში გაირკვევა. თუ კვიპროსელი იყოჩაღებს, მაშინ ავსტრალიურ ვარიანტს ვიხილავთ. აი, „გრუნტის მეფე“ ბალახზეც თუ ბოლომდე გაიბრწყინებს, მაშინ ოთხი კვირის წინ პარიზში ნანახის ცქერა მოგვიწევს.

ამასთანავე, ისიც იგულისხმება, რომ როჯერ ფედერერი უეჭველად ფინალში იქნება. შვეიცარიელის სათამაშო ფორმიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრული უფლება გვაქვს, რომ „მხიარულ როჯერს“ წინასწარ „დავუბევოთ“ ადგილი გადამწყვეტ მატჩში. მით უმეტეს, რომ დიად ალპელს ნახევარფინალში 34 წლის ვეტერან იონას ბიორკმანთან უწევს შეხვედრა. შვედი თავის დროზე ძალიან სერიოზული ძალა იყო და რეიტინგში მეოთხე საფეხურზე იდგა, მაგრამ დღესდღეობით ის მაქს მირნისთან წყვილში კარგად თამაშით უფროა ცნობილი და დღევანდელ უიმბლდონზე ისედაც ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ბაღდატის — ნადალის ნახევარფინალი კი ძალიან სინტერესო უნდა გამოვიდეს. ესპანელი ჯადო ბიჭი, მართლაც საოცრად უმატებს და თუ აქამდე მის ბალახზე ნაჩვენებ შედეგებს გავითვალისწინებთ, წლეულს უდიდესი პროგრესი განიცადა. პირენეელს მხოლოდ რობერტ კენდრიკთან გაუჭირდა, თორემ ლონდონურ მდელოზე ისე კარგად თამაშობს, თითქოს მშობლიური მალიორკის თიხაზე იდგეს.

ბაღდატისი კი უპირობოდ 2006 წლის უმთავრესი აღმოჩენაა. კვიპროსელს ავსტრალიური საოცრებები არ ეყო და ლონდონშიც იგივეს სჩადის. მეოთხედფინალში კი მარკოსი, საერთოდ, გმირად მოგვევლინა, როცა ფედერერის უმთავრეს კონკურენტად მიჩნეული ლეიტონ ჰიუიტი, ყველასთვის გასაოცრად, იოლად დაამარცხა. კიდევ ერთი ნაბიჯიც და კვიპროსელი წლეულს უკვე მეორე სლემტურნირის ფინალში მოიქნევს ჩოგანს.

გუშინ კი ქალებმა ფინალისტების ვინაობა გაარკვიეს. თუმც მოულოდნელად ბრძოლა შედგა იქ, სადაც არ ელოდნენ — მარია შარაპოვამ და ამელი მორესმომ ჰიჩკოკის საკადრისი ტრილერი გაითამაშეს მაშინ, როცა ბელგიური დერბი საინტერესო, მაგრამ მაინც— არცთუ დაძაბული გამოდგა.

კარიერული „დიდი სლემის გასაკეთებლად ჟუსტინ ენენ-არდენს ერთი მოგებაღა აკლია. სლემტურნირებიდან ჭინკა ბელგიელს სწორედ რომ უიმბლდონი აქვს დასაპყრობი. არადა, 2001 წელს ჟუსტინი აქ ფინალში იყო და მაშინ ვინუს უილიამსთან წააგო. თუმცა მას შემდეგ ენენმა სამი „როლან გაროსი“ და თითო ავსტრალიისა და აშშ-ის ღია პირველობები მოიგო.

კიმ კლაისტერსთან ნახევარფინალში კი ენენმა წმინდად უკეთესი ფსიქოლოგიური მდგრადობის ხარჯზე იმარჯვა. არადა, თამაში თითქმის თავიდან ბოლომდე კლაისტერსს მიჰ ყავდა და წინაც ყოველთვის ის იყო, თუმცა — თავისი უპირატესობა ერთხელაც ვერ გამოიყენა.

კლაისტერსი ჯერ პირველ სეტში იგებდა 4:3-ს და თავის მოწოდებაზე 30:0 წინ იყო. თუმც ფუმფულა ბელგიელმა ზედიზედ სამი გეიმის წაგება „მოახერხა“ და პარტია მეტოქეს დაუთმო.

მეორე სეტში კიმმა ორჯერ „გატეხა“ ენენი — ჯერ დასაწყისში, შემდეგ კი პარტიის ბოლოს, როცა 6:5 წაიყვანა. აქ კლაისტერსი სულ სიცილ-სიცილით წავიდა თავისი სკამისკენ, ალბათ, გეგმებს აწყობდა სავარაუდო მესამე სეტისთვის, მაგრამ აქამდე ვინ მიიყვანა — ენენმა კიდევ ერთხელ შეძლო მომატება, თამაში ტაიბრეიკში გადაიტანა და იქ კი უკვე ჟუსტინის უპირატესობა ნამეტანი თვალში საცემი იყო..

„დღეს ყველაფერი ნერვებზე ეკიდა და, საბედნიეროდ, მე ბოლომდე გავძელი. უკეთ ვითამაშე გადამწყვეტი გათამაშებების დროს და ამან მომაგებინა“ — განაცხადა ნამატჩევს ენენმა, რომელმაც წლეულს უკვე მესამედ დასცა კლაისტერსი და პირად შეხვედრებში 12:10 დაწინაურდა.

იმას ვმარჩიელობთ, კაცებში რომელი ფინალის გადამღერებას ვნახავთ, ის კი უკვე ზუსტადაა ცნობილი, რომ ქალებში ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის რიმეიკი დაიდგმება. ენენს კი დამატებითი მოტივაცია ექნება შაბათის ფინალში, რათა დაამტკიცოს, რომ ტრავმის თავიდან აცილების შემთხვევაში მელბურნში ის იზეიმებდა. ალბათ გემახსოვრებათ, რომ მაშინ ჭინკა ბელგიელმა თამაშის დასრულება ვერ მოახერხა, რის გამოც მორესმომ კარიერის პირველი სლემტურნირი მოიგო.

თუმც საეჭვოა, მორესმომაც რამე იოლად დათმოს, რადგანაც მხოლოდ მესამე ცდიდან შეძლო უიმბლდონის ფინალში გაღწევა. მანამდე ორჯერ ჩატოვეს ნახევარფინალში, მაგრამ გუშინ მხარბეჭიანმა ფრანგმა აშკარად დაჯაბნა მარია შარაპოვა.

მაშას კი თამაში, საერთოდ, არ წაუვიდა. მას არც პირველი მოწოდება გამოსდიოდა და შეცდომებსაც ბლომად უშვებდა. ფრანგი კი, პირიქით, ძალიან აკურატული იყო.

მოკლედ, მორესმო დამსახურებლად გავიდა ფინალში. შარაპოვას კი ზედიზედ მეორე წელია, რაც ნახევარფინალში წინ ამუხრუჭებენ.

ბაბა ლომაშვილი

93-ე ტურ დე ფრანსი

2006, 1-23 ივლისი

რობის ორი

ედი მერქსმა ფლოიდ ლენდისი ახსენა

ბენილუქსის ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ რიგით 93-ე „ტურ დე ფრანსის“ ქარავანი მშობლიურ საფრანგეთში დაბრუნდა. მე-4, 207 კილომეტრიანი ეტაპის ფინიში სენტ ქვენტინში იყო და ეტაპი სპრინტის ავსტრალიელმა დიდოსტატმა რობი მაკივენმა მოიგო ჩვეული საფინიშო სპურტით. მაკივენმა, ვისაც ორჯერ — 2002 და 2004 წლებში მოურგია „ტურის“ ყველაზე აქტიური მრბოლის სარგო მწვანე მაისურა, მიმდინარე რბოლაში მეორე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო სულ, მის ანგარიშზე, „ტურ დე ფრანსზე“ მოგებული, უკვე ათი ეტაპია.

წინა ეტაპებისგან განსხვავებით, ამჯერად რბოლამ საკმაოდ წყნარად, რაიმე განსაკუთრებული ექსცესების გარეშე ჩაიარა. რა თქმა უნდა, იყო გაქცევის რამდენიმე მცდელობა, მაგრამ წარუმატებელი — პელეტონმა იოლად ჩაყლაპა წინ წასულნი და საბოლოო ჯამში, როგორც წინა ეტაპებზე, ველოსიპედისტებმა ამჯერადაც ჯგროდ უწიეს სენტ ქვენტინის ქუჩებში მოწყობილ ფინიშს. საფინიშო კილომეტრებზე კი კვლავ ბრწყინვალედ იმუშავეს ბელგიური „ლოტოს“ წევრებმა, თავიანთ ავსტრალიელ ლიდერს მშვენივრად გაუკაფეს გზა და მაკივენმაც შანსი არ დაუტოვა კონკურენტებს — ესპანელებს ისააკ გალვესსა და ოსკარ ფრეირეს, ნორვეგიელ ტორ ჰუსჰოვდსა და ბელგიელ ტომ ბოონენს.

არ შეცვლილა მდგომარეობა საერთო ჩათვლის მოწინავეთა შორისაც. ლიდერის ყვითელი მაისურა კვლავაც ბოონენის საკუთრებაშია. ბელგიელს სულ მცირედით ჩამორჩებიან ავსტრალიელი მაიკლ როჯერსი და ამერიკელი ჯორჯ ჰინკეპი. ერთი ეგ იყო, ჩამოკლებული საბონუსო წამების წყალობით მაკივენმა მოახერხა გვარიანი ნახტომის გაკეთება და ახლა ოზი, უკვე მეექვსე ადგილზეა ბოონენთან ცამეტწამიანი ჩამორჩენით.

ამასობაში, მიმდინარე რბოლის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა ველოსპორტის ბელგიელმა ლეგენდამ, ყველა დროის, ალბათ, უდიდესმა მრბოლმა ედი მერქსმა. „ტურის“ ხუთგზის ჩემპიონის აზრით, მას შემდეგ, რაც რბოლას სხვადასხვა მიზეზით გამოაკლდნენ ფავორიტები ივან ბასო, იან ულრიხი, ალეხანდრო ვალვერდე და ალექსანდრ ვინოკუროვი, გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი შვეიცარიელი „ფონაკის“ ამერიკელ ლიდერს ფლოიდ ლენდისს აქვს. „ის შესანიშნავი მრბოლია, გუნდიც მშვენიერი ჰყავს და ვფიქრობ, რომ ძალუძს „ტურის“ მოგება“ — განაცხადა მერქსმა ლენდისის შესახებ და იქვე დაამატა, რომ ლენდისის უმთავრესი კონკურენტები კიდევ ერთი ამერიკელი ლევი ლეიფემერი, რუსი დენის მენშოვი და ფრანგი კრისტოფ მორო იქნებიანო.

მერქსის აზრი ყოველთვის ყურადსაღებია, მით უმეტეს, რომ ლენდისი მართლაც კარგ ფორმაში იმყოფება. მიმდინარე სეზონში მან უკვე მოიგო ორი ამერიკული რბოლა — „კალიფორნიის ტური“, „ჯორჯიის ტური“ და ამ ორ შინაურ გამარჯვებას უაღრესად პრესტიჟული „პარიზი-ნიცაც“ ზედ მიაყოლა. ოთხი ეტაპის შემდეგ ლენდისი საერთო ჩათვლაში მეცხრე ადგილზეა ლიდერთან თექვსმეტწამიანი ჩამორჩენით და მცირედით უსწრებს მერქსის მიერ ნახსენებ სხვა ფავორიტებს.

გია მუჯირი

მეოთხე ეტაპი. იუ-სენტ ქვენტინი. 207კმ

1 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)	4სთ 59წთ 50წმ
2 ისააკ გალვესი (ესპანეთი, კაისე დეპარეე)	
3 ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი)	
4 ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლა)	
5 ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	19სთ 52წთ 13წმ
2 მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	-1წმ
3 ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, დისქავერი)	-5წმ
4 ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	-7წმ
5 ეგოი მარტინესი (ესპანეთი, დისქავერი)	-10წმ



რობი მაკივენმა მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა

AFP

ფეხები და ფეხსაცმელები

ამქვეყნად რამდენი ადამიანიცაა, თითქმის ორი იმდენი ფეხი არსებობს და ყველა სხვადასხვანაირია. პირველი წყვილი ფეხი ნამდვილად მშვენიერია, რამეთუ მასზე მოდელი და, თავისთავად, ფეხების მომვლელი გოგონა დგას. იმის იქით ჩამნკრივებული ფეხების მშვენიერებაზე კი სიტყვა ვერ დაგცდება, მაგრამ ეს ფეხები ბავშვობიდან მოყოლებული პედლებს ატრიალებენ და სპორტში თავის წილ ტვირთს მიაგორებენ.

მაშ, როგორ!

ტურ დე ფრანსის პირველი ეტაპის მომგები, ფრანგი ჯიმი კასპერი მეხუთე ეტაპის წინ შვილთან ჩახუტებას ასწრებს. შვილიც ველომრბოლი უნდა გამოვიდეს, მაშ, როგორ!



AFP

პალიო დი სიენა

ვინ იცის, მერამდენედ გაიმართა პალიო დი სიენა, უცნაური ქალაქური დოღი, მე-13 საუკუნეში რომ იღებს სათავეს. მოშეჯიბრენი თქარათქურით დაივლიან იტალიური სიენას 17 უბანს, გადამწყვეტ ჯირითს კი მთავარ მოედანზე მართავენ. წლეულს პალიო ცხენმა კოჩიმ და მხედარმა ანდრეა „ბრიო“ მარიმ მოიგეს.

AFP სიენიდან

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲬᲘᲜ

ლუი ვუტონის თასის პირველი დივიზიონის შეჯიბრის მეთორმეტე აქტი ვალენსიის ახლოს ჩატარდა. ამ აქტში გამარჯვებულის გამოვლენას საპრემიო ქულების წამატებაც ახლავს. წინ კი ამერიკის თასია. აქტი ახალ ზელანდიის „ემირატსის“ გუნდმა მოიგო (მარჯვნივ) და კაპიტანმა დინ ბარკერმა შამპანურიც წამოიყუდა.

AFP ვალენსიიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-1.1-14, 877 54 55 00